



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

**თემა: თავდებობა და საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის
უზრუნველყოფის საშუალებები**

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი:

ალექსანდრე ნინოშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

რომან შენგელია

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია.....	3
Annotation.....	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
1.1. თავდებობასთან დაკავშირებული ეროვნული ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
1.2. საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ეროვნული ლიტერატურის მიმოხილვა.....	15
თავი II. კვლევის ანგარიში	24
2.1. თავდებობა	24
2.1.1. ცნება და სამართლებრივი ბუნება	24
2.1.2. ხელშეკრულების ფორმა.....	28
2.1.3. თავდებობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაცია	29
2.1.4. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები	34
2.1.5. თავდების უფლებები და შესაგებელი კრედიტორის მიმართ	36
2.1.6. თავდების მოთხოვნა მოვალის მიმართ და თავდებობისაგან გათავისუფლების მოთხოვნა.....	40
2.1.7. თავდებობის შეწყვეტა.....	43
2.2. საბანკო გარანტია	45
2.2.1. საბანკო გარანტიის ცნება და მისი განვითარების	45
ძირითადი ეტაპები	45
2.2.2. პრინციპალის და გარანტის ურთიერთობა	48
2.2.3. საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება.....	52
2.2.4. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა.....	55
2.2.5. საბანკო გარანტიის ფორმა და შინაარსი	57
2.2.6. ბენეფიციარის და გარანტის ურთიერთობა.....	61
2.2.7. საბანკო გარანტიის შეწყვეტა.....	65

თავი III. კვლევის შედეგები.....	66
დასკვნა	72
გამოყენებული ლიტერატურა.....	74

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია თავდებობასა და საბანკო გარანტიაზე, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებზე. განხილულია ამ ორი ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები, დადგენილია მათ შორის არსებითი სხვაობები. ასევე, განხილულია თავდებობასა და საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურას.

პირველ თავში მოცემულია იმ ლიტერატურის მიმოხილვა, რომლებიც ეხებიან თავდებობასა და საბანკო გარანტიას.

მეორე თავში განხილულია თავდებობის და საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს კანონმდებლობაში, მათი წარმოშობის დოკუმენტის სამართლებრივი ბუნება, სუბიექტთა და მონაწილე პირთა სამართლებრივი სტატუსი და მათი უფლება-მოვალეობები. ასევე განხილულია ის პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს, როგორც კანონმდებლობაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში.

მესამე თავში მოცემულია კვლევის შედეგები, რომელიც გამომდინარეობს მეორე თავში განხილული საკითხების შინაარსიდან. დადგენილია პრობლემური საკითხი, რომელსაც ეს ნაშრომი მოიცავს.

Annotation

This thesis reviews surety and bank guarantee as means of demand collateral. Here are discussed the regulating norms for these two institutions and the essential differences between them are established. Furthermore, court practice related to surety and bank guarantee is discussed as well.

The thesis consists of introduction, three chapters, conclusion and references.

The first chapter includes the discussion of the literature about surety and bank guarantee.

The second chapter discusses regulating norms of surety and bank guarantee in Georgian legislation, the legal nature of the origin documents for them, legal status and rights and duties of subjects and other engaged parties. In addition, this chapter includes discussion of problems related to legislation and court practice.

Research results, derived from the contents of issues discussed in the second chapter, are included in the third chapter. Besides, the problematic question covered by this thesis is established.

შესავალი

კვლევის აქტუალობა:

ყოველდღიურად უამრავი სამოქალაქო სამართლის სუბიექტი შედის სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რაც შემდგომ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს. ხშირ შემთხვევაში, სუბიექტთა მიერ ხელშეკრულებები წერილობით ფორმდება და ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობებიც დეტალურად იწერება ხელშეკრულებაში. თუმცაღა, როგორი დეტალური და კარგი ჩანაწერიც არ უნდა გაკეთდეს ხელშეკრულებაში, იგი სრულყოფილად მაინც ვერ უზრუნველყოფს სუბიექტთა უფლებების რეალიზებას. ვინაიდან შესაძლოა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იყოს კონკრეტული მოთხოვნა, თუმცა მისი აღსრულება ვერ მოხერხდეს მოვალის ვალაუვალობის გამო. იმისათვის, რომ აღნიშნული რისკები იქნეს კრედიტორების მხრიდან მინიმუმამდე დაყვანილი, აუცილებელია მოთხოვნა უზრუნველყოფილი იყოს. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ამგვარ შესაძლებლობას და სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს სთავაზობს მოთხოვნის

უმრუნველყოფის საშუალებებს. პირობითად ისინი იყოფა სანივთო, დამატებით და პიროვნულ საშუალებებად.

მოთხოვნის უმრუნველყოფის სანივთო საშუალებებს წარმოადგენს გირავნობა და იპოთეკა. დამატებით საშუალებებს წარმოადგენენ: ბე, მოვალის გარანტია და პირგასამტეხლო. ხოლო რაც შეეხება მოთხოვნის უმრუნველყოფის პიროვნულ საშუალებებს, კანონმდებელი, მათ გვთავაზობს თავდებობისა და საბანკო გარანტიის სახით.

როგორც თავდებობა, ისე საბანკო გარანტია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მოთხოვნის უმრუნველყოფის საშუალებებია.

მიუხედავად იმისა, რომ თავდებობა ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების უმრუნველყოფის საშუალებაა, მისი გამოყენება ყველაზე ხშირად ხდება ბანკების და სხვა საკრედიტო დაწესებულებების მიერ. თითქმის ყველა საკრედიტო ხელშეკრულება, სადაც ბანკი წარმოადგენს კრედიტის გამცემს, უმრუნველყოფილია თავდებობით.

რაც შეეხება საბანკო გარანტიას, იგი საკმაოდ პოპულარულია დღევანდელ საბაზრო ეკონომიკაში და ხშირად გამოიყენება სავაჭრო ურთიერთობებში. ასევე, საბანკო გარანტიის ხშირი გამოყენება ხდება სახელმწიფო შესყიდვების დროს. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი ვალდებულებას აკისრებს მიმწოდებელს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან მეტია 200 000 ლარზე, მაშინ სავალდებულოა აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების უმრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარდგენა.¹ ასევე ითვალისწინებს საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის ბრძანება #12, კერძოდ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს ამ უკანასკნელის მიერ ავანსად გაცემული თანხის უმრუნველყოფის საბანკო გარანტია.²

¹ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, თბ., 2005, მ. 21

² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის ბრძანება #12, ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ, თბ., 2017, მ.35

ამ ორი ინსტიტუტის ხშირად გამოყენება აიხსნება იმით, რომ ორივე მათგანი განსხვავებით უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებისა, მარტივად გასათვორმებელია. ასევე, უზრუნველყოფის თვალსაზრისით ხელსაყრელია კრედიტორისათვის, ვინაიდან მათი პიროვნული ბუნებიდან გამომდინარე სუბიექტის მთლიანი ქონებით არის უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

ეს ორი ინსტიტუტი საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე პიროვნული ხასიათისაა. ორივე შემთხვევაში მესამე პირი უზრუნველყოფს მისივე არაბრალეულობის მიუხედავად სხვა პირის ვალდებულებას.

მსგავსება მათ შორის იმდენად დიდია, რომ სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ეს ორი ინსტიტუტი ერეოდა სასამართლოს ერთმანეთში.³ ზუსტი განსაზღვრა იმისა, თუ რომელ ინსტიტუტთან გვაქვს საქმე მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს კონკრეტული ნორმის სწორად მისადაგება, რაც არსებითად გადამწყვეტია კანონიერი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ამ ნორმების არასწორი განმარტება საფუძველია, არასწორი გადაწყვეტილების გამოტანისა და შესაბამისად კონკრეტული სუბიექტის უფლებების დარღვევისა. შესაბამისად აუცილებელია ამ ორი ინსტიტუტის იმგვარი გამიჯვნა, რომ დიდი მსგავსების გამო არ მოხდეს მათი აღრევა და შესაბამისად სასამართლოს მხრიდან არ მოხდეს არასწორი ნორმის გამოყენება.

კვლევის მიზანი:

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, თავდებობასა და საბანკო გარანტიას შორის სხვაობების დადგენა, მათი გამიჯვნის მიზნით.

ყურადღება იქნება გამახვილებული ამ ორი ინსტიტუტის იმ სუბიექტებზე, რომლებიც ახორციელებენ უზრუნველყოფას, ერთის შემთხვევაში თავდებზე, ხოლო მეორეს შემთხვევაში გარანტზე. მათ უფლება-მოვალეობებზე და იმაზე თუ რომელ ინსტიტუტშია მეტად უზრუნველყოფი სუბიექტი აღჭურვილი უფლებებით, როგორც კანონმდებლობაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის საქმე № ას-3კ-432-02

ასევე, აუცილებელია მოხდეს, ამ ინსტიტუტების მომწესრიგებელი ნორმების დეტალური ანალიზი. რაც გულისხმობს სხენებული ნორმების შინაარსის ზუსტ დადგენას. ასევე, ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. კერძოდ, ის თუ როგორ ხდება სხენებული ნორმების გამოყენება და ინტერპრეტირება სასამართლოების მიერ.

კვლევის მეთოდი:

ნაშრომში გამოყენებულია: შედარებით სამართლებრივი, ისტორიული და სასამართლო პრაქტიკის კვლევის მეთოდები.

ისტორიული კვლევის მეთოდები აუცილებელი იყო გამომეყენებინა, რადგან გაგვეგო, თუ რა ეტაპები განვლო როგორც თავდებობამ, ასევე საბანკო გარანტიამ.

შედარებით სამართლებრივი მეთოდის დროს გამოყენებულ იქნა, იმ ქვეყნის სამართლებრივი ნორმების შედარება ქართულ კანონმდებლობასთან, რომელი ქვეყნიდანაც იყო რეცეფიცირებული ესა თუ ის ნორმა, რათა მომხდარიყო საქართველოში მოქმედი ნორმების სწორი ინტერპრეტირება.

სასამართლო პრაქტიკის კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ როგორი პრაქტიკაა თავდებობასა და საბანკო გარანტიებთან მიმართებაში. სასამართლო პრაქტიკის კვლევის მიზანს, ასევე წარმოადგენდა იმის დადგენა თუ რამდენად სწორად არის სასამართლოს მიერ განმარტებული ზემოხსენებული ინსტიტუტების მომწესრიგებელი ნორმები.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ავტორების ლიტერატურა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები და სხვა. გამოვყოფდი რომან შენგელიას, ლადო ჭანტურიას, ირაკლი რობაქიძეს, ზურაბ ჭეჭელაშვილს, პაატა ხოტენაშვილს, ზვიად გაბისონიას, შალვა ქურდაძეს და ნინო ლიპარტიას.

1.1. თავდებობასთან დაკავშირებული ეროვნული ლიტერატურის

მიმოხილვა

2001 წელს, გამოიცა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. აღნიშნული კომენტარები, სამოქალაქო კოდექსის თითოეული ნორმის შინაარსის განმარტებას ახდენს. იგი გამოცემულია ხუთ წიგნად. თავდებობის მარეგულირებელი ნორმების შინაარსი კი განმარტებულია მეოთხე წიგნის მეორე ტომში, მეცნიერ რომან შენგალიას მიერ. კომენტარებში დეტალურად არის განხილული თავდებობის მომწესრიგებელი ნორმები. საუბარია თავდებობის ცნებაზე, მხარეთა უფლება-მოვალეობებზე და მათ სტატუსზე. ავტორი უთითებს, რომ თავდებობის სუბიექტებს წარმოადგენს, თავდები და კრედიტორი, და რომ თავდები ის პირია, რომელიც ვალდებულია ძირითად მოვალესთან ერთად შეასრულოს ის, რისი მოთხოვნის უფლებაც გააჩნია კრედიტორს. ასევე განსაზღვრულია თავდებობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ თავდებობა წარმოადგენს ცალმხრივ და კონსენსუალურ ხელშეკრულებას. ასევე განხილულია თავდებობის ხელშეკრულების ფორმა. ავტორის თქმით, თავდებობის წარმოშობისათვის, აუცილებელია თავდების წერილობითი განცხადება და თავდებობის ხელშეკრულებაში იმ მაქსიმალური თანხის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც კისრულობს თავდები ვალდებულებას. ამ წესის დარღვევა გამოიწვევს თავდებობის გაბათილებას და იმ შემთხვევაში თუ არსებობს უკვე შესრულება მაშინ ორმხრივ რესტიტუციას. კომენტარებში ხაზგასმითაა საუბარი ასევე თავდებობის აქცესორულ ბუნებაზე. ავტორის თქმით, თავდებობასა და ძირითად ხელშეკრულებას შორის განუყოფელი კავშირია და შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულების გარეშე თავდებობაც არ არსებობს. კომენტარებში საუბარია იმაზეც, რომ თავდებობით შეიძლება იქნეს ნებისმიერი მოთხოვნა უზრუნველყოფილი. ასევე, განხილულია თავდებობის სუბიექტთა უფლება-

მოვალეობებზე. თავდებობის უფლების რეალიზაციაზე, თავდების შესაგებლებზე და სხვა.⁴

მომდევნო ნაშრომი, რომელიც თავდებობას ეხება, არის ზურაბ ჭეჭელაშვილის მიერ, 2010 წელს გამოცემული წიგნი - სახელშეკრულებო სამართალი. აღნიშნულ წიგნში, განხილულია სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის თავდებობაც. ავტორი აღნიშნავს, რომ თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ფულადი, არამედ არაფულადი ვალდებულებების დროსაც. ავტორი აღნიშნავს, რომ თავდებობით შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას სამომავლო და პირობითი ვალდებულება. თუმცა, თავდებობა მისი დადების მომენტიდან ნამდვილია, მაგრამ თავდებობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია კონკრეტული ვადის ან პირობის დადგომაზე. ზურაბ ჭეჭელაშვილი თავდებობის ფორმასაც ეხება და წერს, რომ თავდებობისათვის საჭიროა წერილობითი ხელშეკრულება და ასევე, თავდების წერილობითი განცხადება. წიგნში განხილულია თავდებობის უფლების რეალიზაციის საკითხი, სადაც ავტორის თქმით, თავდებობის უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია თავდებობის სახეზე. კერძოდ, იმაზე სუბსიდიურია, თუ სოლიდარული თავდებობა. ავტორი, ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლზე, რომელიც სოლიდარულ თავდებობას განსაზღვრავს. მისი თქმით, ეს ნორმა შეცდომით იქნა რეცეფცირებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან, და ამ მუხლში არსებული სიტყვა, „თანაბარმნიშვნელოვანი“ ზედმეტია. ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსი იცნობს მხოლოდ სუბსიდიურ და სოლიდარულ პასუხისმგებლობებს. ავტორი, ასევე კრიტიკულად უდგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ განსაზღვრულ იმ ნორმას, რომელიც თავდებს ანიჭებს თავდებობისაგან გათავისუფლების უფლებას. ავტორის თქმით, აქაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან არასწორი რეცეფციის გამო მუხლი არასწორედ ჩამოყალიბდა. კერძოდ, განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსისაგან სადაც წერია, რომ „თავდებს შეუძლია მოითხოვოს

⁴ რ. შენგელია, თავდებობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 228-244

თავდებობისაგან გათავისუფლება“, გერმანულ სამოქალაქო კოდექსის ანალოგიურ მუხლში მითითებულია, რომ „თავდებს შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს თავდებობისაგან გათავისუფლება“.⁵

2012 წელს, ლადო ჭანტურიას მიერ გამოცემულ იქნა წიგნი, „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“. აღნიშნულ წიგნში, განხილულია მოთხოვნის უზრუნველყოფის ყველა ის საშუალება, რომლებსაც მოიცავს სამოქალაქო კოდექსი, მათ შორის თავდებობაც. აღნიშნული ნაშრომის თანახმად, თავდებობა ხშირად გამოიყენება საკრედიტო ურთიერთობებში და რომ ბანკები, გარდა უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებისა, ასევე ითხოვენ თავდებობასაც. კერძოდ, სოლიდარულ თავდებობას. ავტორის თქმით, თავდებობით თავდები არ კისრულობს მოვალის ვალდებულებას, არამედ თავდებად უდგება კრედიტორს, რომ მოვალე შეასრულებს თავის ვალდებულებას. ასევე აღნიშნულია, რომ დაუშვებელია თავდებობის უფლებრივი დატვირთვა ან სხვისთვის გადაცემა. ავტორი ასევე საუბრობს თავდებობის სუბიექტებზე, სადაც უთითებს, რომ ძირითადი ხელშეკრულების კრედიტორის და თავდებობის კრედიტორი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს, ამის საპირისპიროდ კი მოვალე და თავდები სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ. წიგნში განხილულია შემთხვევა, როდესაც თავდებობა წარმოიშვა, თუმცა ძირითადი ხელშეკრულება, მაგალითად სესხის ხელშეკრულება გაბათილდა და მოვალე ვერ აბრუნებს სესხს. ასეთ დროს, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები, უნდა იქნეს გამოყენებული და ავტორის თქმით თავდებობა არ შეიძლება გავრცელდეს ამ ურთიერთობაზე, თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე. ავტორი, ასევე განიხილავს თავდებობის ფორმას. მისი თქმით, ბანკები თავდებობის ფორმის შესახებ მუხლის სიტყვასიტყვითი გაგების გამო, სადაც წერია, რომ თავდებობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და წერილობითი ხელშეკრულება, ორივე მათგანს იყენებენ, რაც ზედმეტად ფორმალურ მიდგომას წარმოადგენს და თავდებობისათვის ამგვარი ფორმალობა გადაჭარბებულია. იგი აღნიშნავს, რომ

⁵ ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი. თბ., 2010, გვ.298 - 305

ორივე დოკუმენტის არსებობა საჭირო არ არის და საკმარისია თავდების წერილობითი განცხადება. ამას გარდა წიგნში განხილულია თავდებობის სახეები, მოთხოვნათა სტრუქტურა და მათი სამართლებრივი საფუძვლები და სხვა.⁶

შემდეგი ნაშრომი, რომელიც თავდებობას ეხება და 2014 წელს გამოიცა, არის წიგნი „საბანკო სამართლის საფუძვლები“, რომლის ავტორებიც არიან მეცნიერები რომან და ეკატერინე შენგელიები. აღნიშნული წიგნი, მოიცავს საბანკო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებს და მათთან ერთად განხილულია თავდებობაც. ავტორების თქმით, აქცესორულობა წარმოადგენს, თავდებობის შინაარსის განმსაზღვრელ დებულებას. თავდებობით ხდება არსებული ვალდებულების უზრუნველყოფა. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამომავლო და პირობით ვალდებულების უზრუნველსაყოფად. ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ კრედიტორი გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნის რალიზაციისას. კერძოდ, პირველ რიგში კრედიტორმა მოვალისაგან უნდა ეცადოს მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუმცაღა ასევე აღნიშნავენ, რომ შესაძლოა კრედიტორმა მოვალისაგან იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც მოითხოვოს თავდებისაგან დაკმაყოფილება, მაშინ როდესაც სახეზეა სოლიდარული თავდებობა. ავტორები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თავდებობის პასუხისმგებლობის ზუსტ განსაზღვრას. ისინი აღნიშნავენ, რომ თავდებს უფლება აქვს გამოიყენოს მოვალის შესაგებლები მის დამოუკიდებლად. წიგნში ასევე აღნიშნულია თავდებობის თავისებურება, რომ თავდები საქმის კურსში უნდა იყოს, იმაზე თუ როგორ სრულდება ძირითადი ვალდებულება. ავტორები ასევე მსჯელობენ თავდებობის ფორმაზე. მათი თქმით, აუცილებელი არ არის თავდების წერილობითი განცხადების და თავდებობის ხელშეკრულების ერთდროულად არსებობა, იმ შემთხვევაში, თუ თავდების განცხადებაში ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა იქნება მითითებული. შესაბამისად თუ თავდების განცხადებაში ჩანს მისი ნება და ხელშეკრულებისათვის აუცილებელ პირობებსაც მოიცავს იგი, მაშინ საკმარისია

⁶ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.182 - 203

თავდების წერილობითი განცხადება თავდებობის წარმოსაშობად. წიგნში ასევე განხილულია თავდებობის შეწყვეტის საფუძვლები.⁷

მომდევნო ნაშრომი სახელწოდებით „თავდებობა“, ეკუთვნის მეცნიერ ირაკლი რობაქიძეს. აღნიშნული ნაშრომი შესულია სამართლის სკოლებისათვის განკუთვნილ წიგნში - „სახელშეკრულებო სამართალი“, რომელიც 2014 წელს იქნა გამოცემული. ავტორი იხილავს რა თავდებობის ინსტიტუტს, აღნიშნავს, რომ თავდებობისას განსხვავებით უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებისაგან თავდებობა კრედიტორს თავდების რაიმე კონკრეტულ ქონებაზე უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას კი არ ანიჭებს, არამედ კრედიტორი დამატებით ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნას იძენს თავდების მიმართ. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის ხარისხი, თავდების გადახდისუნარიანობაზეა დამოკიდებული. ავტორის თქმით, კრედიტორს თავდებისაგან იმ შესრულების მოთხოვნა უნდა ჰქონდეს, რისი მოთხოვნის უფლებაც გააჩნია ძირითადი მოვალის მიმართ. დაუშვებელია თავდები დაზარალდეს ძირითად მოვალეზე მეტად და მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს ვიდრე აკისრია ძირითად მოვალეს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ავტორი იხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა თავდების შესაგებლები, მისი უფლება უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე და სხვა.⁸

მომდევნო ნაშრომი, რომელიც თავდებობას ეხება ეკუთვნის მეცნიერ შალვა ქერდაძეს. ამ ნაშრომის სახელწოდებაა „თავდების ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის მიხედვით“. ხსენებულ ნაშრომში ავტორი მსჯელობს სოლიდარული თავდების პასუხისმგებლობის სამართლებრივ ბუნებაზე. ამ ნაშრომის მთავარი მიზანია იმის გარკვევა, წარმოადგენს თუ არა სოლიდარული თავდები სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლით, გათვალისწინებულ სოლიდარულ მოვალეს. ავტორი, იხილავს შემთხვევას, როდესაც სახეზეა სოლიდარული თავდებობა, ხოლო კრედიტორმა

⁷ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.428-439

⁸ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ.546-567

ძირითად მოვალეს ვალი აპატია. ავტორის აზრით, სოლიდარული თავდები არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სოლიდარული მოვალე და შესაბამისად არ უნდა გავრცელდეს სოლიდარული მოვალეების მომწესრიგებელი ნორმები. იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი ნორმები გავრცელდება, კრედიტორის მიერ ძირითადი მოვალისათვის ვალის პატიების შემთხვევაში, მას შეუძლია მოთხოვნა დაიტოვოს სოლიდარული თავდების მიმართაც, რაც არასწორია. ავტორის თქმით, სოლიდარული თავდებობა გულისხმობს, არა იმ შინაარსს რაც სოლიდარული მოვალეების ინსტიტუტშია მოცემული, არამედ ამით აღნიშნულია თავდებობიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნის რეალიზების შედარებით მარტივი გზა. ავტორი, ასევე უთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი და 895-ე მუხლი არეგულირებენ სხვადასხვა საფუძვლებით წარმოშობილ ურთიერთობებს. 463-ე მუხლი იმ შემთხვევას შეეხება, როდესაც მოვალეთა ვალდებულება ერთიანია, ხოლო თავდები კი ასრულებს არა თავის, არამედ ძირითადი მოვალის ვალდებულებას. შესაბამისად, ავტორის თქმით, კრედიტორის მითითება, რომ ძირითად მოვალეს აპატია ვალი, მაგრამ თავდების მიმართ შეინარჩუნა მოთხოვნა, არ გააჩნია სამართლებრივი ძალა, რადგან სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს თავდების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, რომლის შეცვლის უფლებაც არ აქვს კრედიტორს. ავტორი, ასევე იხილავს თავდებობის პიროვნულ ბუნებას და ამბობს, რომ თავდებობა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პიროვნული ხასიათის უზრუნველყოფის საშუალებად. მისი თქმით, ძირითადი ვალდებულების დარღვევისას დგება არა პიროვნული არამედ ქონებრივი პასუხისმგებლობა და რომ კერძო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს პირის პიროვნება ხელშეუხებელია. ამ აზრის გასამყარებლად ავტორი უთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-4 დამატებით ოქმზე, სადაც წერია, რომ ვალაუვალობის გამო, პირის თავისუფლების აღკვეთა დაუშვებელია. იგი ასევე

არ ეთანხმება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმაზე, რომ თავდები მთელი ქონებით აგებს პასუხს.⁹

1.2. საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ეროვნული ლიტერატურის მიმოხილვა

სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, გარდა თავდებობისა მოიცავს საბანკო გარანტიასაც, რომლის ავტორიც, ასევე არის მეცნიერი რომან შენგელია. კომენტარებში განმარტებულია საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების შინაარსი. კერძოდ, საუბარია საბანკო გარანტიის შინაარზე, სამართლებრივ ბუნებაზე, მხარეთა სამართლებრივ სტატუსზე, მათ უფლება-მოვალეობებზე და სხვა. ავტორის თქმით, საბანკო გარანტია თავად წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებს შორის წარმოიშობა. ავტორის საუბრობს რა საბანკო გარანტიის სუბიექტებზე და მათ შორის ურთიერთობებზე მიუთითებს, რომ ბენეფიციარი ვალდებულების ძირითად სუბიექტს არ წარმოადგენს და რომ მისგან კანონი არ ითხოვს საბანკო გარანტიის მიღებას. ავტორის თქმით, საბანკო გარანტიის ხელშეკრულება იდება, პრინციპალსა და გარანტს შორის შეთანხმების და გარანტიის გაცემის მომენტიდან, რაც მეტყველებს მის რეალურ ბუნებაზე. ასევე აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელ სუბიექტებს შორის არსებული ხელშეკრულება ცალმხრივი ხასიათისაა. ავტორი ასევე, ხაზს უსვამს საბანკო გარანტიის არააქცესორულ ბუნებას.¹⁰

მომდევნო ნაშრომი, „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“ ლადო ჭანტურიას ავტორობით, ასევე ეხება საბანკო გარანტიასაც. მისი თქმით, საბანკო გარანტიის უპირატესობა, განსხვავებით უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან,

⁹ შ. ქერდაძე, თავდებობის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895 -ე მუხლის მიხედვით, თბ., ურნალი „ცხოვრება და კანონი“, #3-4 (39-40), 2017, გვ.111-121

¹⁰ რ. შენგელია, საბანკო გარანტია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 215-228

წარმოადგენს მისი დაუყოვნებლივ შესრულების შესაძლებლობა. ავტორი მსჯელობს, საბანკო გარანტიის თავისებურებებზე და მიუთითებს, რომ გარანტი არ არის ვალდებული მოვალის ნაცვლად შეასრულოს ვალდებულება, არამედ მისი ვალდებულება ფულადი გადახდით შემოიფარგლება. მისი აზრით, საბანკო გარანტია არის დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომლითაც გარანტი ცალმხრივ დაპირებას იძლევა, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფულადი თანხა გადაუხადოს ბენეფიციარს. ავტორი, საბანკო გარანტიას მიიჩნევს სხვა უზრუნველყოფის საშუალებებთან შედარებით, კრედიტორის უფრო სწრაფად დაკმაყოფილების საშუალებად. ავტორი იხილავს საბანკო გარანტიის მონაწილეებს და ამბობს, რომ საბანკო გარანტია სამი მონაწილისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს სხვადასხვა ურთიერთობებით უკავშირდებიან. წიგნში განხილულია საბანკო გარანტიის მონაწილეთა ურთიერთობათა სტრუქტურა, კერძოდ ურთიერთობა კრედიტორსა და მოვალეს შორის, რომელიც ძირითადი ხელშეკრულებით არის მოხსენიებული. ავტორის თქმით, ძირითადი ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს, მისგან წარმოშობილი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მოვალის მხრიდან საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას. ავტორი, ამ პირობას არსებითად მიიჩნევს და მისმა ბათილობამ შესაძლოა მთლიანი ხელშეკრულების ბათილობა გამოიწვიოს. ავტორი, ასევე მსჯელობს გარანტსა და პრინციპალს შორის ურთიერთობაზე. მისი თქმით, ამ სუბიექტებს შორის იდება საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება, რაც არ ნიშნავს საბანკო გარანტიის წარმოშობას. ამ ხელშეკრულებით გარანტი კისრულობს ვალდებულებას, რომ გასცეს საბანკო გარანტია. ავტორი, განასხვავებს ერთმანეთისაგან საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულებასა და საბანკო გარანტიას. შესაძლოა გარანტმა არ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და არ გასცეს გარანტია, რითაც არღვევს მის პრინციპალთან არსებულ ვალდებულებას. რაც შეეხება ამ ხელშეკრულების ფორმას, ავტორის თქმით, ვინაიდან კანონი არ განსაზღვრავს მის ფორმას იგი შეიძლება ზეპირადაც დაიდოს. წიგნში, ასევე განხილულია ურთიერთობა გარანტსა და ბენეფიციარს შორის. ავტორი უცხოური

ლიტერატურის საფუძველზე მიიჩნევს, რომ გარანტიისა და ბენეფიციარის ურთიერთობის საფუძველი მათ შორის დადებული ხელშეკრულებაა. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით ქართულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც საბანკო გარანტია არის არა ხელშეკრულება, არამედ ცალმხრივი გარიგება. ავტორს მოჰყავს ამ მოსაზრების საპირისპირო არგუმენტები. მისი თქმით, საბანკო გარანტიის ცალმხრივ გარიგებად მიჩნევის შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა გარანტის ნების გამოვლენა, ხოლო ბენეფიციარის აქცეპტი საჭირო აღარ იქნებოდა. მისი თქმით, ეს ასე არ არის და გარანტი და ბენეფიციარი წინასწარ თანხმდებიან პირობებზე. ასევე ავტორი, თავის აზრს ამყარებს იმით, რომ საბანკო გარანტია მოთავსებულია სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო ნაწილში. ავტორი, ასევე აღნიშნავს, რომ კანონი არ განსაზღვრავს საბანკო გარანტიაზე, მხოლოდ გარანტის ხელმოწერაა საკმარისი თუ აუცილებელია ბენეფიციარის მიერ მისი ხელმოწერაც. მისი აზრით, უსაფრთხოების მიზნით უმჯობესი იქნებოდა ორივე მხარის მიერ ხელმოწერის განხორციელება, თუმცა პრაქტიკაში ბენეფიციარი კონკლუდენტურად ახორციელებს მის მიღებას. წიგნში, ასევე განხილულია საბანკო გარანტიის შინაარსი, ბენეფიციარის დაკმაყოფილების წინაპირობები და სხვა.¹¹

მომდევნო ნაშრომს წარმოადგენს წიგნი, რომელსაც ჰქვია „საბანკო სამართალი“, რომელიც გამოიცა 2012 წელს. მისი ავტორი ზვიად გაბისონიაა. წიგნში გარდა საბანკო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებისა, ასევე განხილულია საბანკო გარანტია. ავტორი მსჯელობს საბანკო გარანტიაზე, მის არააქცესორულ ხასიათზე. ასევე ავტორი, საბანკო გარანტიის ბუნებასთან დაკავშირებით ავითარებს ორ მოსაზრებას, კერძოდ პირველის შემთხვევაში იგი საბანკო გარანტიას მოიხსენიებს, როგორც ცალმხრივ გარიგებას და აღნიშნავს, რომ მისი ხელშეკრულებად განხილვა არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს. ავტორის აზრით, ბენეფიციარის აქცეპტი სახეზეა, ამ უკანასკნელის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის მომენტში. მანამდე კი საბანკო გარანტია გამოუხმობადი ოფერტია და

¹¹ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.204-233

ხელშეკრულების დადების მომენტად, ავტორი მიიჩნევს ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის მომენტს. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გარანტია არცერთ ეტაპზე არ წარმოშობს ბენეფიციარს და გარანტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობას, და რომ ვალდებულება საბანკო გარანტიის გაცემის მომენტიდან ყალიბდება. მას ასევე მოჰყავს გერმანულ სამართალში არსებული შეხედულებები, რომელთა თანახმადაც საბანკო გარანტიები განიხილება, როგორც ცალმხრივი გარიგება, სადაც აქცეპტი ხორციელდება ღუმილით. ავტორის თქმით, გერმანულ სამართალში ასევე არსებობს მოსაზრება, რომ საბანკო გარანტია ბენეფიციარსა და გარანტს შორის ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომელიც იდება პრინციპალის დავალების საფუძველზე. ავტორის აზრით, ეს უკანასკნელი მოდელი უკეთესად ასახავს საბანკო გარანტიის მხარეების ურთიერთობას.¹²

მომდევნო ნაშრომს წარმოადგენს „საბანკო სამართლის საფუძვლები“, რომელიც რომან და ეკატერინე შენგელიებს ეკუთვნის. ავტორები საბანკო გარანტიაზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ იგი მიიჩნევა მოთხოვნის უზრუნველყოფის ეფექტურ საშუალებად და საკმაოდ მოთხოვნად პროდუქტად. ამის მიზეზად მოყვანილია სხვადასხვა საფუძვლები, კერძოდ, მოთხოვნის დაკმაყოფილების სწრაფი საშუალება, სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავებით სწრაფად და ნაკლები ხარჯებით გაფორმება, თავდებობისაგან განსხვავებით, როგორც არააქცესორული და არასუბსიდიური საშუალება, საბანკო გარანტიის გამცემი სუბიექტების ფინანსური სიძლიერე. ავტორები არნიშნავენ, რომ სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული საბანკო გარანტიების მომწესრიგებელი ნორმები სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო კერძო სამართლის დებულებებთან. წიგნში ასევე საუბარია იმაზე, რომ საბანკო გარანტია წარმოადგენს ნებისმიერ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას. ავტორები საბანკო გარანტიის ძირითად მონაწილე სუბიექტებად პრინციპალსა და გარანტს მიიჩნევენ. მათი თქმით, გერმანულ კანონმდებლობასა და

¹² ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2012, გვ. 225-255

დოქტრინაში დამკვიდრებულია კონცეფცია, იმაზე, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის ურთიერთობა რეგულირდება დავალების ხელშეკრულებით, ხოლო გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობა, გარანტიის ხელშეკრულებით. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ იქნა ქართული მეცნიერების მიერ, თუმცა ავტორების თქმით, ქართული კანონმდებლობა განსხვავებულად უდგება აღნიშნულ საკითხს. მიღებული პრაქტიკის თანახმად საბანკო გარანტიის ხელშეკრულება იდება გარანტსა და პრინციპალს შორის, ხოლო საბანკო გარანტიის წერილის ადრესატს წარმოადგენს პრინციპალი, მისი ასლი კი ბენეფიციარზე გაიცემა პრინციპალისაგან, ან გარანტისაგან. ავტორები მსჯელობენ გარანტსა და პრინციპალს შორის არსებულ საგარანტიო ვალდებულებებზე და აღნიშნავენ, რომ იგი ცალმხრივი ხელშეკრულების დადების საფუძველზე წარმოიშობა. ასევე აღნიშნულია, რომ ეს ხელშეკრულება რეალური და ანაზღაურებითი ხასიათისაა. გარდა ამისა, ავტორები ასევე იხილავენ საბანკო გარანტიის რეალიზაციის საკითხებს და აღნიშნავენ, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგს წარმოადგენს საგარანტიო წერილის გაცემა. წიგნში, ასევე განხილულია საგარანტიო ვადები, რა დროშიც შეუძლია ბენეფიციარს მოითხოვოს ანაზღაურება, საგარანტიო შემთხვევა, რომლის დადგომაც წარმოშობს ბენეფიციარის მოთხოვნის უფლებას და სხვა.¹³

შემდეგი ნაშრომი, რომელიც საბანკო გარანტიას შეეხება არის „საბანკო სამართალი“, რომლის ავტორის არის ირაკლი რობაქიძე. აღნიშნული ნაშრომი განთავსებულია სამართლის სკოლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში, „სახელშეკრულებო სამართალი“. ავტორი საბანკო გარანტიაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიის გაცემა კრედიტის გაცემას უთანაბრდება, სადაც კრედიტის მიმღებად პრინციპალი მოიაზრება და შესაბამისად ამ უკანასკნელისაგან ეცდება გარანტი რეგრესულ ანაზღაურებას. ავტორი საუბრობს პრინციპალის რისკებზე, სადაც აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნება საფრთხის ქვეშ აყენებს პრინციპალს, რადგან ბენეფიციარის დაკმაყოფილება იმ

¹³ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.440-461

შემთხვევაშიც შეიძლება მოხდეს, როდესაც ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ვალდებულება არც წარმოშობილა ან შეწყდა. ავტორი, საბანკო გარანტიის სამართლებრივ ბუნებასაც იხილავს და ამბობს, რომ იგი ცალმხრივი ხელშეკრულებაა, რომელიც ბენეფიციარის წინაშე ცალმხრივ ვალდებულებას წარმოშობს. აღნიშნული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია ბენეფიციარის თანხმობა. ავტორის თქმით, საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და საბანკო გარანტიაში აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული აღნიშნული. საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრაში მხარეები თავისუფლები არიან და მათ ნებაზეა დამოკიდებული ამ საკითხის გადაწყვეტა. ავტორი, ასევე აღნიშნავს საბანკო გარანტიის არააქცესორულობას და ამბობს, რომ გარანტს არ აქვს უფლება წარუდგინოს ბენეფიციარს შესაგებელი, რომელიც ამ უკანასკნელსა და პრინციპალს შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ამას გარდა წიგნში საუბარია გამოთხოვად და გამოუთხოვად საბანკო გარანტიებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა რომ კანონით დაშვებულია გამოთხოვადი გარანტია, უმეტესად გამოიყენება გამოუთხოვადი გარანტიები. იმ შემთხვევაში თუ გამოთხოვადი საბანკო გარანტიაა სახეზე და გარანტი გამოითხოვს მას, იგი ძალაში შევა იმ მომენტიდან, როცა ბენეფიციარი მიიღებს მას. ამასთან დაკავშირებით ასევე აღნიშნულია, რომ თუ ბენეფიციარის მოთხოვნა უფრო ადრე მიუვა გარანტს, ვიდრე ეს უკანასკნელი გამოითხოვს გარანტიას, გარანტიის გამოთხოვის უფლება უქმდება და გარანტი ვალდებულია გასცეს გარანტია.¹⁴

მომდევნო ნაშრომს წარმოადგენს პაატა ხოტენაშვილის მიერ დაწერილი სადოქტორო ნაშრომი, „საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები“, რომელიც 2015 წელს გამოიცა. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია საბანკო გარანტიის ცნება და მისი განვითარების ძირითადი ეტაპური, საბანკო გარანტიისა და საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულების იურიდიული არსი, საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა, სამართლებრივი ბუნება და სხვა. ავტორი

¹⁴ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 568-589

განიხილავს, საბანკო გარანტიის გაჩენას და აღნიშნავს, რომ პირველად იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოჩნდა. ამჟამად კი საბანკო გარანტიები ფართოდ არის გავრცელებული. საბანკო გარანტიის არსზე და მის სუბიექტებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტიას სამი მონაწილე სუბიექტი ჰყავს, მისი როგორც სამმხრივ ხელშეკრულებად განხილვა დაუშვებელია. ავტორის თქმით, საბანკო გარანტიის რეალიზებას სჭირდება ორი თანმიმდევრული ქმედების განხორციელება. პირველი ეს არის პრინციპალსა და გარანტს შორის ხელშეკრულება, რომელსაც საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულებასაც უწოდებენ. მეორე ქმედება გულისხმობს, გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის გაცემას, რომელიც წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას. ავტორის თქმით, არსებობს შეხედულება, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის არსებული ხელშეკრულება ცალმხრივ მავალდებულებელია. იგი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და უთითებს, რომ საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება სინალაგმატური ხასიათისაა. ავტორი, ასევე ლიტერატურაში არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებზეც ამახვილებს ყურადღებას, საბანკო გარანტიის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით. აღნიშნავს, რომ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ საბანკო გარანტია ორმხრივი გარიგებაა და შესაბამისად ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომელიც გარანტსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება, სადაც საგარანტიო წერილი განიხილება ოფერტად, ხოლო აქცეპტი ბენეფიციარის მიერ ღუმლით გამოიხატება. ავტორი, არ ეთანხმება აღნიშნულ პოზიციას და ამის საწინააღმდეგო არგუმენტად სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ის ნორმა მოჰყავს, რომელიც ღუმლით აქცეპტს დაუშვებლად მიიჩნევს. ასევე მიუთითებს, რომ საბანკო გარანტია გამოუთხოვადი ვალდებულებაა და მისი ხელშეკრულებად განხილვის შემთხვევაში მივიღებთ კანონმდებლის განმარტებას, ვინაიდან ზოგადი წესის თანახმად ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს მხარეთა ან სასამართლოს მიერ. ავტორის აზრით, ბენეფიციარის ნებას საბანკო გარანტიის წარმოშობისათვის არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. ავტორი, გარდა საბანკო გარანტიის სხვა საკითხებისა, ასევე საუბრობს

მის დამოუკიდებლობაზე და აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები ემთხვევა ერთმანეთს.¹⁵

შემდეგი ნაშრომი, დაკავშირებული საბანკო გარანტიასთან, არის „საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით“. ამ ნაშრომის ავტორია ნინო ლიპარტია და გამოცემულ იქნა 2017 წელს. ნაშრომში განხილულია საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება. ასევე საბანკო გარანტიის უმთავრესი პრინციპები, რომლებიც მის რეალიზაციასთან დაკავშირებით დიდ როლს ასრულებენ. ავტორი, მსჯელობს საბანკო გარანტიის ისეთ პრინციპებზე, როგორებიცაა დამოუკიდებლობის პრინციპი და ზუსტი შესაბამისობის პრინციპი. ავტორის თქმით, მთავარ ღირსებად უნდა იქნეს მიჩნეული საბანკო გარანტიის ავტონომიურობის პრინციპი. ამ უკანასკნელ პრინციპზე მსჯელობისას ავტორი წერს, რომ გარანტის ვალდებულება დამოუკიდებელია, როგორც ძირითადი ხელშეკრულების, ასევე მასსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულებისაგან. ავტორი, საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპზე მსჯელობისას, აღნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკა სწორი გზით მიდის ამ საკითხთან დაკავშირებით და რომ არაერთი გადაწყვეტილება არსებობს, სადაც სასამართლომ სახელშეკრულებო და საგარანტიო პირობების კოლიზიის დროს უპირატესობა საგარანტიო პირობებს მიანიჭა, რაც შეესაბამება დამოუკიდებლობის პრინციპს. გარდა დამოუკიდებლობის პრინციპისა, ავტორი ასევე იხილავს ზუსტი შესაბამისობის პრინციპს. მისი თქმით, აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლით. ავტორი, ყურადღებას ამახვილებს ამ პრინციპთან დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე და აღნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკამ ამ კუთხით ბოლო წლების განმავლობაში ჰპოვა განვითარება, თუმცა სასამართლოს მხრიდან არ ხორციელდება შესაბამისობის დადგენისას მოთხოვნის ფორმალურ შესაბამისობაზე აქცენტირება. მისი თქმით, ზუსტი შესაბამისობის პრინციპი, კერძოდ

¹⁵ ვ. ხოტენაშვილი, საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015, გვ. 7-23

ის ნორმა, რომელიც ამ პრინციპს განამტკიცებს იმპერატიული ხასიათისაა. აღნიშნული ნორმა გულისხმობს იმას, თუ როგორი უნდა იყოს ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის წარდგენილი მოთხოვნა. ავტორის თქმით, იმისათვის, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა იყოს ჯეროვანი საჭიროა, მოთხოვნა წარდგენილ იქნას წერილობითი ფორმით, დართულ იქნეს წერილობითი დოკუმენტაცია და მიაწოდოს გარანტს ინფორმაცია, იმაზე, თუ რაში გამოიხატება ძირითადი ვალდებულების დარღვევა. ავტორი მიიჩნევს, რომ ამ სამი მოთხოვნიდან ერთ-ერთის დარღვევა იწვევს ამ პრინციპის დარღვევასაც და გარანტი უნდა გათავისუფლდეს თანხის გადახდის ვალდებულებისაგან. ავტორის აზრით ხსენებული ორი პრინციპი მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც ემსახურებიან ძირითადი ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტთა ინტერესების დაბალანსებას.¹⁶

ბოლო ნაშრომი, რომელიც ეხება საბანკო გარანტიას არის „ქართული ბიზნეს სამართალი“, რომელიც გამოიცა 2017 წელს და რომლის ავტორიც არის ზურაბ ჭეჭელაშვილი. ნაშრომში განხილულია სამოქალაქო კოდექსის თითქმის ყველა ინსტიტუტი, ასევე განხილულია კერძო სამართლის სხვა დარგებიც. აღნიშნული ნაშრომში განხილულია საბანკო გარანტიაც. ავტორი საკმაოდ ლაკონურია საბანკო გარანტიაზე საუბრისას. იგი აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიაზე მსჯელობისას აუცილებელია გამიჯნულ იქნას ორი გარიგება: საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ და თავად საბანკო გარანტია. პირველს ავტორი ხელშეკრულებას უწოდებს, რომელიც თავისი ბუნებით ორმხრივი და კონსენსუალურია და რომელიც აუცილებლად წერილობით უნდა დაიდოს, ხოლო მეორეს ცალმხრივ გარიგებას, რომელიც აბსტრაქტული გარიგებაა.¹⁷

¹⁶ ნ. ლიპარტია, საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, თბ., სამართლის ჟურნალი, #2, 2017, გვ.36-54

¹⁷ ზ. ჭეჭელაშვილი, ქართული ბიზნეს სამართალი, თბ., 2017, გვ.176-178

თავი II. კვლევის ანგარიში

2.1. თავდებობა

2.1.1. ცნება და სამართლებრივი ბუნება

თავდებობამ, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებამ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამოქალაქო ბრუნვის განვითარებისათვის. იგი საკმაოდ აქტუალური იყო სამოქალაქო სამართალში და შესაბამისად ხშირად გამოიყენებოდა რომის სამართლიდან მოყოლებული. დღეს დღეისობით

თავდებობის არსი უცვლელად არის წარმოდგენილი სამართლის სხვადასხვა სისტემებში.¹⁸

თავდებობა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებას. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება. ამ მოსაზრების ავტორის თქმით, თავდებობის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნული საშუალება ზუსტად ვერ ასახავს თავდებობის არსს, რადგან „ძირითადი ვალდებულების დარღვევისას დგება თავდების ქონებრივი და არა პიროვნული პასუხისმგებლობა“. ავტორი ასავე აღნიშნავს, რომ კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს პიროვნება ხელშეუხებელი რჩება. ამ აზრის გასამყარებლად ავტორი უთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-4 დამატებით ოქმზე, სადაც წერია, რომ ვალაუფალობის გამო დაუშვებელია პირს აღეკვეთოს თავისუფლება.¹⁹

აღნიშნული მოსაზრება მცდარია, რადგან თავდებობა უზრუნველყოფის პიროვნული საშუალება იმიტომაა, რომ თავდებს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ძირითადი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დგება თავდები პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც შეზღუდულია, მხოლოდ თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობით. უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ გარკვეული ქონებითაა უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა, თავდებობის შემთხვევაში თავდების მთლიანი ქონებით ხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება. თავდებობის პიროვნულობა არ გულისხმობს თავდების ანუ მისი პიროვნების ხელშეუხებლას ან თავისუფლების აღკვეთას. თავდებობის პიროვნულობაში იგულისხმება ზემოხსენებული შინაარსი, კერძოდ პირის ვალდებულება ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად აგოს პასუხი მთელი თავისი ქონებით,

¹⁸ ნ. სვანაძე, თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, თბ., ჟურნალი „სამართალი“ #1-2, 2004, გვ. 34

¹⁹ შ. ქერაძე, თავდებობის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895 -ე მუხლის მიხედვით, თბ., ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, #3-4 (39-40), 2017, გვ.112

რალათქმუნდა თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზღვრული თანხის ოდენობით.

თავდებობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნული საშუალება, ხშირად გამოიყენება საკრედიტო ურთიერთობების დროს. ბანკები სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებთან ერთად დამატებით იყენებენ თავდებობას, რაც მათ მიერ გაცემული კრედიტების დაბრუნების მეტ გარანტიას იძლევა.²⁰

სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის თანახმად, „თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად“.²¹ იმისათვის, რომ თავდებობა წარმოიშვას, საჭიროა თავდებობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მხარეები არიან თავდები და კრედიტორი.²² თავდებობისა და ძირითადი ხელშეკრულების, თავდებობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის, კრედიტორი აუცილებლად ერთი პირი უნდა იყოს, ხოლო ძირითადი ხელშეკრულების მოვალე და თავდები სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ.²³ თავდების და კრედიტორის როლში შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი.²⁴ თავდებობის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებას, რაც ნიშნავს იმას, რომ კრედიტორს გააჩნია მხოლოდ უფლება, ხოლო თავდები გამოდის მოვალის როლში ძირითად მოვალესთან ერთად, იმ შემთხვევაში თუ ძირითადი მოვალე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. თავდებობის ხელშეკრულება არის კონსენსუალური ხელშეკრულება.²⁵

თავდებობით, შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი ნებისმიერი ვალდებულება, ვინაიდან კანონი არ განსაზღვრავს თავდებობის გამოყენების კონკრეტულ

²⁰ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 182

²¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 891

²² ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 547

²³ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 185-186

²⁴ ზ. ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 24 თებერვალი 2016 წ. <http://www.gccc.ge>

²⁵ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ. 429

შემთხვევებს.²⁶ თუმცა პრაქტიკაში, ხშირია თავდებობის გამოყენება ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. თავდებობის ხელშეკრულება, ასევე შესაძლოა დაიდოს სამომავლო და პირობითი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ამგვარ შესაძლებლობას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილი.²⁷

განსხვავებით საბანკო გარანტიისაგან, თავდებობა არის აქცესორული უფლება და შესაბამისად იგი მთლიანად დამოკიდებულია ძირითად უფლებაზე.²⁸ სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა“.²⁹ თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე არ შეიძლება მისი რაიმე სახით უფლებრივი დატვირთვა ან სხვა პირისთვის გადაცემა. თავდებობა დაკავშირებულია ძირითად მოთხოვნასთან. იგი არ შეიძლება მისგან დამოუკიდებლად არსებობდეს და შესაბამისად მუდამ თანმსდევია ძირითადი მოთხოვნისა. ამასთან, ძირითადი ხელშეკრულების შეწყვეტა, იწვევს თავდებობის შეწყვეტასაც. რაც ნიშნავს იმას, რომ თუ თავდებობის ხელშეკრულება გაფორმდა, ვიდრე ძირითადი ხელშეკრულება დაიდებოდა და ეს უკანასკნელი არ დაიდო, თავდებობის ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე გაფორმებული იყო. იგივე ვითარებაა მაშინაც, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება შემდგომ გაბათილდა და ამ ხელშეკრულების მოვალე ვერ ახორციელებს უკვე მიღებული ქონების უკან დაბრუნებას. მიღებული ქონების უკან დაბრუნება უნდა განხორციელდეს უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე. ვინაიდან თავდებობა, აქცესორული უფლებაა და იგი დაკავშირებულია ძირითად ხელშეკრულებასთან ისე, რომ მის გარეშე არ არსებობს, იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, ბანკების მიერ შედგენილი თავდებობის დოკუმენტები, რომლითაც თავდებს

²⁶ რ. შენგელია, თავდებობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 229

²⁷ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 547

²⁸ ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი. თბ., 2010, გვ. 299

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 893

ეკისრება ბანკისადმი მოვალის ყველა ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფა, რაც წარმოდგენს ბათილ პირობას სამოქალაქო კოდექსის 896-ე მუხლის საფუძველზე.³⁰

2.1.2. ხელშეკრულების ფორმა

რომის სამართალში, საიდანაც იღებს სათავეს თავდებობა, იგი სტიპულაციის ფორმით იღებოდა.³¹ სტიპულაცია გულისხმობდა ზეპირ გარიგებას, რომელიც მდგომარეობდა მომავალი კრედიტორის კითხვაში მოვალედ დადგომის შესახებ და ამ კითხვის აღრესათის პასუხში, რომ თანახმა იყო დამდგარიყო მოვალედ.³²

საქართველოში კი თავდებობის ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. ამისათვის, საჭიროა თავდების მხრიდან წერილობითი განცხადება მასზე, რომ თანახმაა აიღოს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე, ამ უკანასკნელის მოვალის ვალდებულებისათვის. ამასთან, თავდებობის დოკუმენტში განსაზღვრული უნდა იყოს მაქსიმალური თანხა, როლის ფარგლებშიც არის თავდები პასუხისმგებელი.³³ სამოქალაქო კოდექსი 892-ე მუხლის პირველი ნაწილი, თავდებობის ნამდვილობას უკავშირებს ორ დოკუმენტს, კერძოდ, თავდების წერილობით განცხადებას და თავდებობის დოკუმენტს (ხელშეკრულება).³⁴ ამ დანაწესის მიუხედავად არაა აუცილებელი ხსენებული ორივე დოკუმენტის ერთობლივად არსებობა.³⁵ ამას ადასტურებს თავის ერთ-ერთ გადანწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო. აღნიშნულ პროცესზე გამოირკვა, რომ დავა შეეხებოდა შპს „ა-მა“-ს მოთხოვნას შპს „დ“-ის მიმართ, სადაც შპს „ა-მა“ ითხოვდა თანხის ანაზღაურებას. შპს „ა-მა“ საფუძველად უთითებდა იმას, რომ იგი საგარანტიო წერილის საფუძველზე თავდებად დაუდგა შპს „დ“-ის სს „ს“-ის წინაშე, საიდანაც მან

³⁰ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.183 - 184

³¹ И. С. Розенталь, Обеспечение обязательств, Римское частное право, М. 2012, гв. 353.

³² Е. А. Флейшиц, Вербальные (Устные) контракты, Римское частное право, М. 2000, гв. 192

³³ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ. 430

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 892 „სხვები“

³⁵ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ. 430

აილო კრედიტი. შპს „დ“-მა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ დააბრუნა სესხი, რის გამოც სს „ს“-მა მოახდინა შპს „ა-მა“-ს ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა. შპს „დ“-მა სარჩელი არ სცნო იმ საფუძვლით, რომ სახეზე არ იყო თავდებობის ხელშეკრულება, რადგან საგარანტიო წერილი ვერ უბრუნველყოფდა თავდებობის ხელშეკრულებისათვის დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ამ საქმეში იყო მოცემული დადასტურებულია შპს „ა-მა“-ს (თავდების) გენერალური დირექტორის და ბუღალტერის ხელმოწერით, ასევე დამოწმებულია კომპანიის ბეჭდით. დოკუმენტიდან ვლინდება თავდების ნება, რომ იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულებისათვის და იმ თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც იყო პასუხისმგებელი თავდები. ასევე დადგენილია, რომ დოკუმენტი მიიღო ბანკმა, გააფორმა კრედიტის ხელშეკრულება და გასცა სესხი. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ შპს „დ“-ს მოსაზრება იმაზე, რომ უნდა არსებობდეს, როგორც განცხადება, ასევე თავდებობის დოკუმენტი, არ არის მართებული, რადგან კანონი არ კრძალავს ერთი დოკუმენტით გაფორმდეს, როგორც თავდების განცხადება, ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები. მითითებულ დოკუმენტში კი გამოხატულია, როგორც თავდების ნება, ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატამ დოკუმენტი, რომელზეც ზევით იყო საუბარი მიიჩნია საკმარისად თავდებობისათვის.³⁶

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შემთხვევას, რა დროსაც არ მოითხოვება თავდებობის წერილობითი გაფორმება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავდები პროფესიული საქმიანობის ფარგლებში კისრულობს თავდებობას.³⁷

2.1.3. თავდებობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაცია

თავდებობიდან გამომდინარე, უფლების რეალიზაციის საკითხზე მსჯელობისას, აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ორი სახის თავდებობა. კერძოდ,

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის საქმე № ას-3კ-432-02;

³⁷ ლ. ჭანტურია, კრედიტის უბრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.189

ჩვეულებრივი თავდებობა და სოლიდარული თავდებობა. თავდებობის ეს ორი სახე თავდებობის უფლების რეალიზების სხვადასხვა საშუალებებს იძლევა.

პასუხისმგებლობა, რომელიც არის ჩვეულებრივი თავდებობის დროს წარმოადგენს სუბსიდიურს. ჩვეულებრივი თავდებობის დროს, კრედიტორმა პირველ რიგში ძირითადი მოვალისაგან უნდა მოითხოვოს შესრულება იძულებითი აღსრულების გზით.³⁸ შესაბამისად კრედიტორის უფლება, მოსთხოვოს თავდებს მისი დაკმაყოფილება, წამოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ძირითადი მოვალის წინააღმდეგ იძულებითი აღსრულების ღონისძიებები უშედეგო აღმოჩნდება, ანუ ვერ მოხერხდება კრედიტორის სრული დაკმაყოფილება. ასეთი სახის თავდებობა პრაქტიკაში იშვიათია.³⁹

ჩვეულებრივი თავდებობისაგან განსხვავებით სოლიდარული თავდებობა საკმაოდ გავრცელებულია. ამის მიზეზი არის ბანკები, რომლებიც უარს იძახიან ჩვეულებრივ თავდებობაზე და ცდილობენ სოლიდარული თავდებობის გაფორმებას, რაც გამოსდით კიდევ.⁴⁰ სოლიდარული თავდებობა დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, „თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას ან უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.“⁴¹ ამ მუხლში არსებული გამოთქმა „თანაბარმნიშვნელოვანი სახით“ არ არის სწორი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი, გარდა სუბსიდიური და სოლიდარული პასუხისმგებლობებისა სხვა სახეს არ იცნობს. აღნიშნული ფრაზა კი გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან არასწორი რეცეფციის შედეგია.⁴² შესაბამისად, სოლიდარული თავდებობის დროს, ძირითადი მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილების და უშედეგო გაფრთხილების შემდგომ კრედიტორს უკვე წარმოეშობა უფლება მოსთხოვოს თავდებს მოთხოვნის

³⁸ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.190

³⁹ ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი. თბ., 2010, გვ. 300

⁴⁰ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.190

⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.895

⁴² ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი. თბ., 2010, გვ.301

დაკმაყოფილება.⁴³ თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის დანაწესის შესრულება, რაც გულისხმობს იმას, რომ მოვალემ უნდა გადააცილოს შესრულების ვადას და იგი უშედეგოდ უნდა იქნეს გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუნარიობა აშკარა უნდა იყოს.⁴⁴ სოლიდარული თავდებობის დროს, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კრედიტორი უჩივის ძირითად მოვალეს და თავდებს ერთდროულად, სადაც თავდები სასამართლო პროცესში გამოდის, როგორც თანამოპასუხე.⁴⁵

განსხვავებულ წესს ადგენს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო სამართალი აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, ხსენებული ქვეყნების თავდებობის მომწესრიგებელი ნორმები თავდებობის ხელშეკრულებას იმთავითვე სოლიდარულ თავდებობად მიიჩნევენ,⁴⁶ რაც თავის თავად გამორიცხავს თავდების იმ შესაგებლებს, რომელიც სუბსიდიური თავდებობის შემთხვევაში გააჩნია თავდებს.

საინტერესოა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ბედი ეწევა თავდებობას მაშინ, როდესაც სახეზეა სოლიდარული თავდებობა და კრედიტორმა ძირითად მოვალეს ვალი აპატია. აღნიშნულ საკითხზე, პასუხის გასაცემად აუცილებელია დადგინდეს, თუ სამოქალაქო კოდექსის, რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, ასეთი შემთხვევის დროს. არსებითია გაირკვეს სოლიდარული თავდები წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 463-476 მუხლები, თუ სოლიდარული თავდებობაში სხვა რამ იგულისხმება. ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტა პრინციპულია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ორი სხვადასხვა შედეგის დადგომა, იმის მიხედვით თუ რომელი ნორმა იქნება გამოყენებული ზემოხსენებული შემთხვევის დროს. იმ შემთხვევაში, თუ სოლიდარული თავდები მიჩნეულ იქნება სოლიდარულ მოვალედ და შესაბამისად მოექცევა სოლიდარული მოვალეების ინსტიტუტის

⁴³ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამოც. „სამართალი“, 2012, გვ.191

⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 895

⁴⁵ ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი. თბ., 2010, გვ.301

⁴⁶ ნ. სვანაძე, თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, თბ., უურნალი „სამართალი“ #1-2, 2004, გვ. 34

მომწესრიგებელი ნორმების ქვეშ, კრედიტორის მიერ ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება შეიძლება ვერ გახდეს საფუძველი სოლიდარული თავდებობისაგან თავდების გათავისუფლებისა. ამაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 449 - ე მუხლი.⁴⁷

იმ შემთხვევაში თუ მივიჩნევთ, რომ სოლიდარულ თავდებობას და სოლიდარული მოვალეების ინსტიტუტს შორის კავშირი არა არის და სოლიდარული თავდებობა გულისხმობს სხვა შინაარს და არა იმას რასაც სამოქალაქო კოდექსის 463 – 476 მუხლები ითვალისწინებენ, კრედიტორსა და ძირითად მოვალეს შორის ვალის პატიების არსებობის შემთხვევაში, სოლიდარული თავდებიც გათავისუფლდება ვალდებულებისაგან. აღნიშნულს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 450 -ე მუხლი.⁴⁸

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ გამომდინარე, იქიდან, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს სოლიდარულ თავდებობას აღნიშნული უნდა მოექცეს სოლიდარული მოვალეების ინსტიტუტის მონესრიგების ქვეშ.⁴⁹ სასამართლომ თავის ამ განმარტებით იდენტურ ცნებებად მიიჩნია სოლიდარული თავდები და სოლიდარული მოვალე.

ლიტერატურაში არის განსხვავებული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ ზემოხსენებული სასამართლოს განმარტების საწინააღმდეგო არგუმენტის ამოსავალი წერტილი არის თავდებობის აქცესორული ბუნება, ანუ იმისათვის რომ არსებობდეს თავდებობა, აუცილებელია სახეზე იყოს ძირითადი ვალდებულება.⁵⁰ ასევე დაუშვებელია სოლიდარული თავდების გაიგივება სოლიდარულ მოვალესთან, ვინაიდან მათი წარმოშობის საფუძვლები სხვადასხვაა.⁵¹ სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს ადგენს სამოქალაქო

⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.449

⁴⁸ იქვე, მ.450

⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 აგვისტოს საქმე № ას-164-158-2011

⁵⁰ შ. ქერდაძე, თავდებობის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895 -ე მუხლის მიხედვით, თბ., უერთალი „ცხოვრება და კანონი“, #3-4 (39-40), 2017, გვ.113

⁵¹ იქვე, გვ.115

კოდექსის 464 - ე მუხლის, ხოლო სოლიდარული თავდებობისას ხსენებული კანონის 895 - ე მუხლი.⁵² სამოქალაქო კოდექსის 463 - ე მუხლი განსაზღვრავს იმას, რომ სახეზეა რამდენიმე მოვალე და თითოეული მათგანი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში. შესაბამისად სოლიდარული მოვალის მხრიდან ხდება საკუთარი ვალდებულების შესრულება. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლს, მასში მითითებულია, რომ თავდები ასრულებს არა საკუთარ, არამედ მესამე პირის, ანუ ძირითადი მოვალის ვალდებულებას. იგივე შემთხვევაა მაშინაც როცა სახეზეა სოლიდარული თავდებობა. შესაბამისად თავდებობის მომწესრიგებელი ნორმების მიერ გამიჯნულია თავდები და ძირითადი მოვალე ერთმანეთისაგან. სოლიდარული თავდებობა და სოლიდარული მოვალეები სინონიმები არ არის. თავდებობის შემთხვევაში სოლიდარულ თავდებად თავდები იწოდება არა იმიტომ, რომ კანონმდებელმა სოლიდარული თავდები გააიგივა სოლიდარულ მოვალესთან, არამედ იმიტომ, რომ კრედიტორს შესაძლებლობა ჰქონოდა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა თავდებისაგან ძირითადი მოვალის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარების გარეშე. სამოქალაქო კოდექსი სოლიდარულ თავდებს ზემოხსენებული შინაარსით იყენებს. ასევე აღსანიშნავია, რომ კრედიტორსა და თავდებს შორის ხელშეკრულება კრედიტორსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად იდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სოლიდარული თავდებობისადმი სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლის გამოყენება არაა მართებული. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 450 - ე მუხლს, იგი ეხება თავდებობის ყველა შემთხვევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კრედიტორს არ აქვს უფლება აპატიოს ვალი ძირითად მოვალეს და ამავდროულად შეინარჩუნოს მოთხოვნა თავდების მიმართ, რადგან სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის თანახმად ძირითადი მოვალის მიმართ ვალის პატიება

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.895

ავტომატურად ათავისუფლებს თავდებ პირსაც. ეს ნორმა იმპერატიული ხასიათის არის და მისი შეცვლა დაუშვებელია.⁵³

სასამართლოს მხრიდან სოლიდარული თავდებობისა და სოლიდარული მოვალეების გაიგივება და სოლიდარული თავდებობისადმი სოლიდარული მოვალეების მომწესრიგებელი ნორმების მისადაგება არასწორია.

ასევე აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი სოლიდარულ თავდებსა და სოლიდარულ მოვალეს აიგივებს ერთმანეთთან, თუმცადა მოვალის გათავისუფლება იწვევს სოლიდარული თავდების გათავისუფლებასაც.⁵⁴

2.1.4. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები

თავდებობის პასუხისმგებლობის ზუსტი განსაზღვრა წარმოადგენს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხს თავდებობის ხელშეკრულებაში. იმისათვის, რომ არ გახდეს სადაო, ის თუ რა თანხის ფარგლებში უნდა აგოს პასუხი თავდებმა, საჭიროა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნას იმ თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც კისრულობს თავდები პასუხისმგებლობას.⁵⁵ თავდებობის ხელშეკრულებაში არსებული ზღვრული თანხა არ იძლევა პასუხს იმაზე, თუ რა სახის ვალდებულებების შესრულება უწევს თავდებს ამ ზღვრული თანხის ფარგლებში. კერძოდ თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მხოლოდ ძირითად ვალდებულებაზე ვრცელდება, თუ ასევე ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ სხვა სახის ვალდებულებებზეც.⁵⁶ სამოქალაქო კოდექსის 898 -ე მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვეპუნქტის თანახმად თავდები, გარდა ძირითადი ვალისა, პასუხს აგებს ასევე ამ ვალის მოცულობის ცვლილებისათვის, რომელიც გამოწვეულ იქნა ძირითადი

⁵³ შ. ქურდაძე, თავდებობის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895 -ე მუხლის მიხედვით, თბ., ურნალი „ცხოვრება და კანონი“, #3-4 (39-40), 2017, გვ.116-117

⁵⁴ И. С. Перетерский, перев. Гражданский кодекс (Кодекс Наполеона) 1804 года. М., 1941, Статья 2032, გვ. 418

⁵⁵ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.433

⁵⁶ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 552

მოვალის ბრალეული ქმედებით, ანდა შესრულების ვადის გადაცილებით.⁵⁷ პირგასამტეხლო და ზიანის საერთო თანხა, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამთავრების დროისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება თავდებს თუ ამის შესახებ იყო შეთანხმება.⁵⁸ ამავე მუხლის ბ ქვეპუნქტის თანახმად თავდებს ეკისრება, ძირითადი მოვალის მიერ გადასახდელი, ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, იმ შემთხვევაში, თუ თავდებს შეეძლო კრედიტორის დაკმაყოფილებით თავიდან აერიდებინა აღნიშნული ხარჯები.⁵⁹ ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავდები უარს ეუბნება კრედიტორს დაკმაყოფილებაზე, იმ საფუძველით, რომ ამ უკანასკნელს ჯერ არ მიუღია ზომები მოვალის წინააღმდეგ იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ თუ კრედიტორი მიმართავს სასამართლოს და შესაბამისად წარმოიშობა სასამართლო ხარჯები, ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება თავდებს, რადგან მას შეეძლო აეცილებინა თავიდან ეს ხარჯები. ძირითადი ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს პროცენტსაც, რომელიც მოვალისათვის ვალდებულების შემადგენელი ელემენტია. ჩვეულებრივ, თავდები მხოლოდ ძირითადი თანხის დაბრუნებას უბრუნველყოფს.⁶⁰ თუმცა კოდექსი 898 - ე მუხლის მე-2 ნაწილის გ ქვეპუნქტის თანახმად პროცენტი შეიძლება დაეკისროს თავდებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებაში.⁶¹ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად თავდები გამომდინარე იქიდან რომ ზღვრული ოდენობით არის პასუხისმგებელი, არ აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით.⁶² აღნიშნული მოსაზრება მცდარია, ვინაიდან

⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 898

⁵⁸ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.434

⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 898

⁶⁰ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.434

⁶¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 898

⁶² შ. ქერდაძე, თავდებობის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895 -ე მუხლის მიხედვით, თბ., უუნალი „ცხოვრება და კანონი“, #3-4 (39-40), 2017, გვ.118

თავდებობის პიროვნული ბუნებიდან გამომდინარე თავდების ნებისმიერი ქონება შეიძლება მიექცეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

2.1.5. თავდების უფლებები და შესაგებელი კრედიტორის მიმართ

მართალი, თავდები ვალდებულია უზრუნველყოს კრედიტორის მოთხოვნა, რომელიც არსებობს ძირითადი მოვალის მიმართ და შესაბამისად აკისრია ვალდებულება ამ უკანასკნელის მაგივრად შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა, თუმცა კანონი კრედიტორისაგან თავის დასაცავად, მთელ რიგ საშუალებებს ანიჭებს თავდებს. ასეთი საშუალებაა შესაგებლის წარდგენის უფლება.⁶³ ეს უფლებები კი შეიძლება იყოს, როგორც საკუთარი, ასევე ძირითადი მოვალის. შესაბამისად თავდებს, გარდა საკუთარი უფლებებისა, შეუძლია გამოიყენოს ძირითადი მოვალის უფლებებიც.⁶⁴ აქედან გამომდინარე, თავდების უფლებები შეიძლება დაიყოს თავდების საკუთარ და დერივატიულ, ძირითადი მოვალის შესაგებლებად.⁶⁵ თავდებს შეუძლია კრედიტორს წარუდგინოს ყველა ის შესაგებელი, რომელიც ამ უკანასკნელს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

თავდების შესაგებლებიდან უნდა აღინიშნოს კრედიტორისი დაკმაყოფილებაზე უარის უფლება. თავდებს შეუძლია არ დააკმაყოფილოს კრედიტორი და წარუდგინოს შესაგებელი, რომელიც დაფუძნებული იქნება კოდექსის 894-ე მუხლიდან გამომდინარე.⁶⁶ პირველ რიგში, კრედიტორის მცდელობა დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, უნდა განხორციელდეს მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების გზით, ანუ პირველ რიგში კრედიტორმა უნდა მიმართოს სასამართლოს. კრედიტორს მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლია მოითხოვოს დაკმაყოფილება თავდებისაგან. თავდებს ეს უფლება აქვს მხოლოდ სუბსიდიური თავდებობის დროს, რაც ნიშნავს იმას, რომ სოლიდარული თავდებობის დროს თავდები ვერ გამოიყენებს ამ უფლებას.

⁶³ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 553

⁶⁴ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.434

⁶⁵ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.194

⁶⁶ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 554

თავდების არანაკლებ მნიშვნელოვანი უფლებაა, პასუხისმგებლობის შემცირების მოთხოვნის უფლება.⁶⁷ სამოქალაქო კოდექსის 901-მუხლის თანახმად „თუ კრედიტორი თავდების საზიანოდ ამცირებს საგირავნო უფლებებს ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებებსა და შეღავათებს, მაშინ თავდების პასუხისმგებლობა მცირდება ზემოაღნიშნული შემცირების შესაბამისი თანხით.“⁶⁸ აქედან გამომდინარე, თუ თავდებობასთან ერთად სახეზე იყო სხვა სახის უზრუნველყოფის საშუალებები და კრედიტორმა თავდების საზიანოდ შეამცირა ისინი, თავდების პასუხისმგებლობაც უნდა შემცირდეს პროპორციულად, რათა მოხდეს თავდებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება.

თავდების ერთ-ერთ შესაგებელს წარმოადგენს დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის გამო. თავდებობა დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა და მისი ხანდაზმულობის ვადაც ცალკე აითვლება. მისი ათვლა იწყება ძირითადი ვალის გადახდის ვადის დადგომიდან და შეასვენს სამ წელს. იმ შემთხვევაში, თუ თავდებობის ხელშეკრულება ხანდაზმული გახდება თავდებს მიენიჭება უფლებამოსილება უარი თქვას შესრულებაზე.⁶⁹

თავდებს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ სრულდება ძირითადი ვალდებულება. ეს თავდებობის აუცილებელი თავისებურებაა. ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის გადაცილება უნდა აცნობს კრედიტორმა თავდებს.⁷⁰ ამ უკანასკნელის განუხორციელებლობამ შეიძლება თავდების პასუხისმგებლობის შემცირება გამოიწვიოს. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სადაც დადგინდა, რომ კრედიტორმა თავდებს დროულად არ აცნობა ვალის გადახდის ვადის გადაცილება და სარჩელი აღძრა სასამართლოში გადახდის ვადის დადგომიდან 10 თვის შემდეგ. სამოქალაქო კოდექსის 902 -ე მუხლის თანახმად კი, თუ კრედიტორი არ აცნობებს თავდებს ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის ვადის გადაცილებას, ან თავდების

⁶⁷ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.196-197

⁶⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 901

⁶⁹ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.197

⁷⁰ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.436

მოთხოვნის საფუძველზე მას არ მიაწვდის ცნობებს ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ, მაშინ იგი დაკარგავს უფლებას თავდების წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნის იმ ნაწილზე, რა ოდენობითაც გამოიწვევდა ზიანს კრედიტორის მიერ აღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელეს უარი ეთქვა 10 თვის პროცენტზე.⁷¹

თავდებს, საკუთარი შესაგებლის გარდა, როგორც უკვე აღინიშნა ასევე აქვს დერივატიული შესაგებლის უფლებაც. აღნიშნულს სამართლებრივი საფუძველი მოცემული სამოქალაქო კოდექსი 899-ე მუხლში, კერძოდ „თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი.“ ასევე „თავდები არ კარგავს შესაგებლის უფლებას იმის გამო, რომ ძირითადმა მოვალემ უარი თქვა მასზე.“⁷² ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის შესაგებელი მისგან დამოუკიდებლად და მის ჩაუბმელად, კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში. შესაბამისად ძირითადი მოვალის ნება, სურს თუ არა შესაგებლის წარდგენა მხედველობაში არ მიიღება. მთავარი არის ის, რომ თავდებმა წამოაყენოს ის შესაგებელი, რომლის წამოყენების უფლებაც თავად ძირითად მოვალეს გააჩნია.⁷³ მაგალითად, თუ ძირითადი ვალის ხანდაზმულია, მაგრამ ძირითადი მოვალე არ უთითებს ვალის ხანდაზმულობაზე, თავდებს უფლება აქვს გამოიყენოს ძირითადი მოვალის ეს უფლება და თავად თქვას უარის ვალის გადახდაზე მისი ხანდაზმულობის გამო.⁷⁴

თავდების დერივატიული შესაგებლის უფლება ყველა სფეროზე არ ვრცელდება.⁷⁵ სამოქალაქო კოდექსის 899-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, „თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე.“⁷⁶ სამემკვიდრეო კანონმდებლობის

⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 დეკემბრის საქმე № 3კ/815-01

⁷² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.899

⁷³ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძველები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.435

⁷⁴ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.194

⁷⁵ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძველები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.435

⁷⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.899

თანახმად მემკვიდრეები მამკვიდრებლის ვალს იხდიან მიღებული წილის ღირებულების პროპორციულად. შესაბამისად მემკვიდრე მამკვიდრებლის ვალს ფარავს მიღებული სამკვიდრო ქონების ფარგლებში.⁷⁷ ძირითადი მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონებასა და მოვალის ვალს კრედიტორის მიმართ იქნება სხვაობა, და ამ სხვაობაში სამკვიდრო ქონება იქნება ნაკლები, ვიდრე ძირითადი ვალი, ამ შემთხვევაში თავდები არის პასუხისმგებელი დაფაროს სხვაობა. აქედან გამომდინარე თავდებობის დროს არ მოქმედებს მემკვიდრეობის აღნიშნული წესები და შესაბამისად თავდებს არც აქვს უფლება მიუთითოს მემკვიდრის შემლუდულ პასუხისმგებლობაზე.⁷⁸

სამოქალაქო კოდექსის მე-900 მუხლი ადგენს თავდების არანაკლებ მნიშვნელოვან დერივატიულ შესაგებელს, რომლის თანახმადაც „თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას.“⁷⁹ ეს ის შემთხვევაა, როდესაც, მაგალითად მოვალეს შეუძლია იდავოს მასსა და კრედიტორს შორის არსებული ხელშეკრულების ბათილობაზე.⁸⁰ ამ შემთხვევაში თავდებს თავად არ შეუძლია მოვალის ამ უფლების გამოყენება და აქედან გამომდინარე კანონმდებელი თავდებს ანიჭებს უფლებას არ შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა, ვიდრე მოვალეს გააჩნია ზემოაღნიშნული უფლება. მაშინ როდესაც მოვალეს შეუძლია სადავო გადახადოს გარიგება, თუმცა იგი ამას არ შვება, წარმოიშობა თავდებისათვის რთული სიტუაცია. თავდები არაა უფლებამოსილი მოვალის აღნიშნული უფლება თავად გამოიყენოს და შესაბამისად თავად გახადოს სადავო ის გარიგება, რომლის უზრუნველსაყოფადაც დაილო თავდებობის ხელშეკრულება. ძირითადი გარიგების ბათილობაზე აპელირება ამ შემთხვევაში, მხოლოდ მოვალის შეუძლია. იმის გამო, რომ შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევა, როდესაც თავდები შეასრულებდა მოვალის

⁷⁷ რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 184

⁷⁸ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.435

⁷⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 900

⁸⁰ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.435

ვალდებულებას, ხოლო შემდგომ მოვალე იდავებდა ძირითადი გარიგების ბათილობის საკითხზე და მიაღწევდა წარმატებას, გამოვიდოდა, რომ თავდებმა შესრულა არარსებული ვალდებულება და წარმოეშობოდა შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასცილებლად კანონმდებელმა თავდებს მიანიჭა უფლება კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა, ვიდრე ძირითად მოვალეს შეუძლია სადავო გახადოს ძირითადი გარიგება. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ გამოიყენებს ამ უფლებას, ანუ უარს იტყვის ამ უფლების გამოყენებაზე, მაშინ თავდებიც კარგავს სამოქალაქო კოდექსის მე-900 მუხლით მინიჭებულ უფლებას, არ დააკმაყოფილოს კრედიტორი.⁸¹

2.1.6. თავდების მოთხოვნა მოვალის მიმართ და თავდებობისაგან გათავისუფლების მოთხოვნა

თავდებობა ალტერნატიულ გარიგებათა რიცხვში შედის. ამის მიუხედავად თავდები აღჭურვილია მის მიერ განეული ხარჯების კომპენსაციის მიღების უფლებით.⁸² თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდგომ წარმოიშობა ახალი ურთიერთობა, თავდებსა და მოვალეს შორის.⁸³ სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლის თანახმად, თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში თავდებზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ.⁸⁴ აღნიშნულს წარმოადგენს კანონისმიერი ცესია, რომლითაც მოთხოვნა კანონის, და არა მხარეთა შეთანხმების, საფუძველზე გადადის თავდებზე. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოირიცხოს მოთხოვნის თავდებზე გადასვლა. ამას იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როდესაც თავდებობა სასყიდლიანია და შესაბამისად თავდები გარკვეულ საზღაურს იღებს.⁸⁵

⁸¹ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 556

⁸² ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 198

⁸³ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 562

⁸⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 905

⁸⁵ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 198

სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლში არსებული მოთხოვნის შესაძენად თავდებმა უნდა დააკმაყოფილოს კრედიტორი და ამ უკანასკნელის მოთხოვნა მოვალის მიმართ უნდა იყოს ნამდვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება თავდებზე არ გადავა, რადგან მისი მხრიდან განხორციელებული შესრულება ემსახურებოდა არარსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

მოთხოვნა, თავდებობასთან ერთად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას, სხვა საშუალებებითაც, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ თავდებობამდე, ან წარმოიშვან თავდებობის გაფორმების შემდგომ, მიუხედავად ამისა თავდებზე კრედიტორის მოთხოვნის გადასვლასთან ერთად, გადავა ეს უზრუნველყოფის საშუალებებიც.⁸⁶

აღსანიშნავია ის, რომ თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებით, ძირითადი ვალდებულება არ წყდება, რადგან იგი ასრულებს თავის, და არა მოვალის, ვალდებულებას და შესაბამისად წყდება თავდების ვალდებულება კრედიტორის მიმართ.⁸⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე ხორციელდება კანონისმიერი ცესია, სადაც ხდება კრედიტორის ჩანაცვლება, რომლის ადგილსაც იკავებს თავდები.⁸⁸

სამოქალაქო კოდექსის 904 - ე მუხლი ადგენს თავდებობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს, იმ შემთხვევაში, როდესაც თავდებმა თავდებობა იკისრა მოვალის დავალებით, ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის წესების შესაბამისად.⁸⁹ ეს მუხლი, კერძოდ ამ მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ხარვეზს, რომელის დიდ შინაარსობრივ უზუსტობას წარმოშობს. ამ ხარვეზის მიზგზს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ანალოგიური მუხლის არასწორი რეცეფცია წარმოადგენს. ხარვეზი მდგომარეობს იმაში, რომ მას აკლია ერთი სიტყვა. თავდებს არ შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება, არამედ „თავდებს შეუძლია მოითხოვოს მოვალეს თავდებობისაგან გათავისუფლება“.⁹⁰ 904 - ე მუხლი

⁸⁶ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 563

⁸⁷ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 199

⁸⁸ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 562

⁸⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 904

⁹⁰ ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი. თბ., 2010, გვ.304

მოვალესა და თავდებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს.⁹¹ მაშასადამე თავდებობისაგან გათავისუფლების შესახებ მოთხოვნის აღრესატი არის არა კრედიტორი, არამედ მოვალე.⁹²

თავდებობისაგან გათავისუფლება შეიძლება განხორციელდეს კანონით დადგენილი საფუძვლებით. ეს საფუძვლებია: ა. ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობის არსებითად გაუარესება; ბ. საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო ძირითადი მოვალისაგან გადახდევინების გაძნელება; გ. სააღსრულებო დოკუმენტის არსებობა თავდების წინააღმდეგ.⁹³

გაუარესდა თუ არა ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა, უნდა დადგინდეს, თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობისა და თავდებობისაგან გათავისუფლების უფლების წარმოშობის მომენტში ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შედარების საფუძველზე. არსებითი იქნება ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, როდესაც მოვალეს აღარ შეეძლება მნიშვნელოვანი ვალდებულებების შესრულება. აუცილებელია, რომ მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას, ადგილი ჰქონდეს თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ. ასევე აუცილებელია, რომ ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება იმგვარი იყოს, რომ საფრთხე შეექმნას თავდების 905 - ე მუხლით მინიჭებული უფლების რეალიზაციას. იმ შემთხვევაში, თუ მოვალის ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ საფრთხე არ ემუქრება 905 - ე მუხლით გათვალისწინებული უფლების რეალიზაციას, ან თავდების ეს უფლება უზრუნველყოფილია სხვა რაიმე საშუალებით, მაშინ თავდებს არ შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება.⁹⁴

რაც შეეხება საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო გადახდევინების გაძნელებას, ეს ნიშნავს იმას, რომ ძირითადი მოვალე ვალდებულებას ასრულებდა, მაგრამ შემდგომ შეწყვიტა, ხოლო საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო მისი

⁹¹ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 564

⁹² ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 200

⁹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 904

⁹⁴ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 565

მოძებნა გართულდა.⁹⁵ ძირითადი მოვალის მიერ საცხოვრებელი ადგილის ცვლილების გამო გაძნელდა თუ არა გადახდევინება სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა დაადგინოს.

თავდებობისაგან გათავისუფლების შემდეგი საფუძველია თავდების წინააღმდეგ სააღსრულებო დოკუმენტის არსებობა. აღნიშნულის გასაქარწყლებლად საჭიროა, რომ მოვალემ განახორციელოს ვალდებულების შესრულება.⁹⁶

გამომდინარე იქიდან, რომ თავდებობის ხელშეკრულების მხარეები არიან თავდები და კრედიტორი, საინტერესოა, თუ როგორ და რა გზებით უნდა მოახდინოს ძირითადმა მოვალემ თავდების თავდებობისაგან გათავისუფლება. საშუალება, რომლითაც შეიძლება თავდები გათავისუფლდეს თავდებობისაგან არის კრედიტორის დაკმაყოფილება, რომელის ასეთ დროს მოვალემ უნდა განახორციელოს. გარდა ამისა, თავდებობისაგან გათავისუფლების გზა შეიძლება იყოს მოვალის მიერ კრედიტორისათვის სხვა თანაბარმნიშვნელოვანი უზრუნველყოფის საშუალების მიცემა.⁹⁷

2.1.7. თავდებობის შეწყვეტა

თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტის სხვადასხვა საფუძველები არსებობს.⁹⁸ ეს საფუძველები მოცემულია, როგორც ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, ასევე თავდებობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში.

პირველ რიგში საყურედღებოა ვალდებულების შეწყვეტის ზოგადი საფუძველები, რომლებთა არსებობის შემთხვევებშიც შეიძლება თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა.

გამომდინარე იქიდან, რომ თავდებობის ხელშეკრულება წარმოადგენს აქცესორულ ვალდებულებას, იგი შეიძლება შეწყვეტილ იქნეს ძირითადი

⁹⁵ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძველები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.438

⁹⁶ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 565 - 566

⁹⁷ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 200

⁹⁸ ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 566

ხელშეკრულების შესრულების გზით.⁹⁹ ის თუ როგორ შესრულდება ძირითადი ხელშეკრულება, მხედველობაშია ხელშეკრულების შეწყვეტის ის ზოგადი საფუძვლები, როგორებიცაა პირდაპირი გადახდა, დეკონირება, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა და ასე შემდეგ, მნიშვნელობა არ აქვს.

თავდებობის შეწყვეტის საფუძველია ასევე შემთხვევა, როცა კრედიტორი და მოვალე ერთი და იგივე პირი გახდა.

თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილება წარმოადგენს თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს. თავდების მხრიდან კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თავდები იკავებს კრედიტორის ადგილს. ეს ნიშნავს იმას, რომ ძირითადი ხელშეკრულების კრედიტორი ხდება თავდები. გამოდის, რომ ძირითადი მოვალის ვალდებულება რჩება, თუმცაღა ამ შემთხვევაში სახეზე აღარ არის თავდებობა, რადგან არ შეიძლება პირი საკუთარ თავს დაუდგეს თავდებად.¹⁰⁰

თავდებობის შეწყვეტის საფუძველს ასევე წარმოადგენს ვალის გადაკისრება. კანონის თანახმად ვალის გადაკისრებისას წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული თავდებობა. თუმცა აღნიშნული დანაწესი არ უკრძალავს მესამე პირს, ამ შემთხვევაში თავდებს, მის მიერ გამოვლენილი თანხმობის შემთხვევაში კვლავ უზრუნველყოს ვალი, რომელიც იქნა გადაკისრებული და რომლითაც შეიცვალა ერთი მოვალე მეორეთი.¹⁰¹ იმისათვის, რომ გაგრძელდეს თავდებობა, თავდების მხრიდან თანხმობა განხორციელებულ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.¹⁰²

გარდა ზემოაღნიშნული საფუძვლებისა, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილიდან გამომდინარეობს, კანონი, კერძოდ თავდებობის მომწესრიგებელი ნორმები ასევე ითვალისწინებს თავდებობის შეწყვეტის საფუძვლებს, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან.

თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც განსაზღვრული, ასევე განუსაზღვრელი ვადით. განსაზღვრული ვადით დადებული თავდებობის

⁹⁹ X. Вебер, обеспечение обязательств, М., 2009, გვ. 109

¹⁰⁰ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 202

¹⁰¹ ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 2003, გვ. 203

¹⁰² ი. რობაქიძე, თავდებობა, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 567

ხელშეკრულების შემთხვევაში იგი წყდება ავტომატურად ამ ვადის გასვლის შემდგომ. უვადო თავდებობის ხელშეკრულების შემთხვევაში თავდები თავად არის უფლებამოსილი შეწყვიტოს ხელშეკრულება. უვადო ხელშეკრულების შეწყვეტა თავდებმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი სამ თვიანი ვადის დაცვით.

თავდები ასევე უფლებამოსილია სამ თვიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს ვადიანი ხელშეკრულება, რომლის დადებიდანაც გასულია ხუთი წელი.

თავდები ვალდებულია მის მიერ თავდებობის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც ნაკისრი ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე.¹⁰³

2.2. საბანკო გარანტია

2.2.1. საბანკო გარანტიის ცნება და მისი განვითარების

ძირითადი ეტაპები

საბანკო გარანტიის მომწესრგებელ ნორმებს შეიცავს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა, თუმცადა ასევე მათთან ერთად გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართალის ნორმებიც, რომლებიც აღიარებულია საბანკო საქმიანობაში. აღსანიშნავია საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაციები და საერთაშორისო სავაჭრო სამართალში გაეროს კომისიის მიერ შემუშავებული გაეროს კონვენცია „დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარემზერვო აკრედიტივის შესახებ“. ამ ორი დოკუმენტის მიერ ფეხის მოკიდება იმით აიხსნება, რომ საბანკო გარანტიების წარმოშობა საერთაშორისო კომერციას უკავშირდება.

ქართულ სამართალში საბანკო გარანტია წარსულშიც და ახლაც განიხილება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება. გარანტიები საქართველოში არსებობს საბჭოთა პერიოდიდან. 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მიხედვით გარანტია თავდებობის სახესხვაობას წარმოადგენდა, იმ განსხვავებით, რომ გარანტად გამოსვლა შეეძლო ამა თუ იმ

¹⁰³ იქვე, გვ. 567

ორგანიზაციის ზემდგომ ორგანოს, ხოლო თავდებობის შემთხვევაში, თავდებად ნებისმიერი პირი შეიძლება გამოსულიყო.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა თავდებობასა და საბანკო გარანტიას შორის ურთიერთ მიმართება შეცვალა და შემოიტანა არააქცესორული გარანტია ნაცვლად აქსესორულისა.¹⁰⁴

საქართველოში საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება საკმაოდ გავრცელებულია.¹⁰⁵ იგი წარმოადგენს მოთხოვნად საბანკო პროდუქტს და მიიჩნევა მოთხოვნის უზრუნველყოფის ეფექტურ საშუალებად.¹⁰⁶

საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციარის მოთხოვნებს. გარანტი კი თავის მხრივ, გამომდინარე შემდგომ პრინციპალისაგან რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა, ხშირ შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრინციპალისაგან რაიმე სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით. ლეგიტიმურად ჩნდება კითხვა, თუ რა საჭიროა მესამე პირის - გარანტის ჩარევა ურთიერთობაში, როდესაც მოვალეს შესწევს უნარი წარუდგინოს კრედიტორს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებები.¹⁰⁷ ეს იმით აიხსნება, რომ საბანკო გარანტია, მსგავსად თავდებობისა, წარმოადგენს უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მეტად გადახდისუნარიანია პირი, ანუ გარანტი, მით უფრო მეტად ღირებული და ეფექტიანია უზრუნველყოფის ეს საშუალება. გარანტის როლში კი შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ ფინანსურად ძლიერი ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები ან სხვა საკრედიტო დაწესებულებები.¹⁰⁸ ასევე შეიძლება ითქვას, რომ საბანკო გარანტიის უფლების რეალიზება ბენეფიციარს შეუძლია საკმაოდ მოკლე ვადებში განსხვავებით სხვა,

¹⁰⁴ ვ. ხოტენაშვილი, საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015, გვ.7-8

¹⁰⁵ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 568

¹⁰⁶ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.440

¹⁰⁷ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2012, გვ. 226

¹⁰⁸ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 568

მაგალითად უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებისაგან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებში, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, საბანკო გარანტია წარმოადგენს ყველაზე საიმედო და დაბალი რისკების მატარებელ უზრუნველყოფის საშუალებას.¹⁰⁹

საბანკო გარანტიის ლეგალურ დეფინიციას იძლევა სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ 879 -ე მუხლი, რომლის თანახმად „საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.“¹¹⁰

საბანკო გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც კანონით გათვალისწინებულ პირებს შორის წარმოიშობა.¹¹¹ საბანკო გარანტიის მონაწილეები არიან პრინციპალი, ბენეფიციარი და გარანტი. ბენეფიციარს წარმოადგენს, როგორც, ძირითადი ხელშეკრულების, ასევე საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გარანტის კრედიტორს.¹¹² პრინციპალი კი არის ძირითადი ხელშეკრულების მოვალე, რომლის თხოვნითაც ხდება საბანკო გარანტიის გაცემა.¹¹³

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია გარანტის პირთა წრე. ამ წრეში შედიან ბანკები, საკრედიტო დაწესებულებები და სადაზღვევო კომპანიები. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქმიანობის იმ სახეებს, რომლის განხორციელების უფლებაც აქვთ კომერციულ ბანკებს. მათ შორის არის საბანკო გარანტიის გაცემა.¹¹⁴

საბანკო გარანტიის გაცემის უფლების მქონე პირთა ვიწრო წრეს ამართლებენ ამ დარგის სპეციალისტები. როგორც აღინიშნა მოქმედი კანონმდებლობით საბანკო

¹⁰⁹ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2012, გვ. 226 - 227

¹¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 879

¹¹¹ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.441

¹¹² ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2012, გვ. 235

¹¹³ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 208

¹¹⁴ კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1996, მ. 20

გარანტიის გაცემის უფლება აქვს კომერციულ ბანკებს, საკრედიტო დაწესებულებებს და სადაზღვევო კომპანიებს. ზემოთ ხსენებული სამივე მათგანი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ლიცენზირებას და იმყოფებიან ზედამხედველობის ქვეშ.¹¹⁵

მიუხედავად საბანკო გარანტიაში მონაწილე სამი პირისა, ეს ურთიერთობა არ წარმოადგენს სამმხრივ ხელშეკრულებას.

ორი მოქმედებაა საჭირო ამ ინსტიტუტის რეალიზაციისათვის. პირველი ესაა საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულების დადება, რომელიც პრინციპალსა და გარანტს შორის იდება. ხოლო მეორეა საბანკო გარანტიის გაცემა გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ.¹¹⁶

საბანკო გარანტია შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.

2.2.2. პრინციპალის და გარანტის ურთიერთობა

პრინციპალი წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების მოვალეს, რომელს თხოვნითაც გაიცემა საბანკო გარანტია საკრედიტო ან სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ. შესაბამისად პრინციპალსა და გარანტს შორის წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობა.

გარანტი ვალდებულებას კისრულობს მოვალესთან დადებული ხელშეკრულებით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.¹¹⁷ აღნიშნული ხელშეკრულება ზემოხსენებული მოქმედებებიდან პირველია. კერძოდ იმისათვის, რომ გაიცეს საბანკო გარანტია, ჯერ უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის გაცემაზე ხელშეკრულების დადება გარანტსა და პრინციპალს შორის. შესაბამისად პირველ რიგში პრინციპალი უნდა შეუთანხმდეს გარანტს, რათა ამ უკანასკნელმა გასცეს ბენეფიციარის სასარგებლოდ საბანკო გარანტია. ამ შეთანხმებას შეიძლება ეწოდოს საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსი არ

¹¹⁵ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2012, გვ. 237

¹¹⁶ პ. ხოტენაშვილი, საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015, გვ. 11

¹¹⁷ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 206

ადგენს საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულების ფორმას, აქედან გამომდინარე ეს ხელშეკრულება შეიძლება ზეპირი ფორმითაც დაიდოს.¹¹⁸ ამ ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც გარანტსა და პრინციპალს შორის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, რადგან სამოქალაქო კოდექსი მის ზეპირი ფორმით დადებას არ უშვებს.¹¹⁹ თუმცაღა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსი სდუმს და შესაბამისად, როგორც ზევით აღინიშნა არანაირ შემზღვევებს ამ კუთხით არ აწესებს.

გარანტსა და მოვალეს შორის არსებული ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ ხელშეკრულებას.¹²⁰ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრება იმაზე, რომ მოვალესა და გარანტს შორის დადებული ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხელშეკრულება.¹²¹ თუმცაღა ამ ხელშეკრულებაში ორივე მხარეზეა გადანაწილებული, როგორც უფლებები, ასევე მოვალეობები. კერძოდ მოვალე იძენს უფლებას მოსთხოვოს გარანტს, გასცეს საგარანტიო წერილი კრედიტორის ანუ ბენეფიციარის სასარგებლოდ, ხოლო ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს ბანკის სასარგებლოდ საგარანტიო წერილის გაცემისათვის საზღაური. ბანკი კი თავის მხრივ იძენს უფლებას მოითხოვოს მოვალისაგან საზღაურის გადახდა და კისრულობს ვალდებულებას გასცეს საგარანტიო წერილი.¹²²

ლიტერატურაში ასევე გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულება წარმოადგენს რეალური სახის ხელშეკრულებას. ამის არგუმენტად კი მოყვანილია, ის რომ საბანკო გარიგება დადებულად ითვლება გარანტსა და პრინციპალს შორის შეთანხმების და საბანკო გარანტიის გაცემის მომენტიდან.¹²³ ვფიქრობ ალნიშნული მოსაზრება მცდარია, რადგან საბანკო გარანტიის გაცემა

¹¹⁸ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 213

¹¹⁹ ზ. ჭეჭელაშვილი, ქართული ბიზნეს სამართალი, თბ., 2017, გვ.176-177

¹²⁰ ვ. ხოტენაშვილი, საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015, გვ. 18

¹²¹ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.442

¹²² ვ. ხოტენაშვილი, საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015, გვ. 18

¹²³ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ.443

წარმოადგენს გარანტიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა პრინციპალსა და გარანტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თავად ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. ამ მომენტიდან წარმოიშობა უფლება-მოვალეობები. ხოლო გარანტის უმთავრესი მოვალეობა კი საბანკო გარანტიის გაცემაა. იმ შემთხვევაში თუ სახეზეა აღნიშნული ხელშეკრულება და ბანკმა არ გასცა საბანკო გარანტია, ჩაითვლება, რომ ბანკმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.¹²⁴ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გარანტსა და მოვალეს ანუ პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს კონსენსუალურ ხელშეკრულებას.

როგორც აღინიშნა საბანკო გარანტიის გაცემის საფუძველს პრინციპალსა და გარანტს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს. ამ ხელშეკრულებით გარანტი ვალდებულია გასცეს საბანკო გარანტია მხოლოდ იმ პირობებით, რა პირობებიც იყო გათვალისწინებული მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

ბენეფიციარის მიერ გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში გარანტი ვალდებულია შეამოწმოს ეს მოთხოვნა, კერძოდ დადგა თუ არა საგარანტიო შემთხვევა და შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარანტიის პირობებს.¹²⁵ გარანტი ასევე ვალდებულია ბენეფიციარის მიერ გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში აცნობოს პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის და თანდართული დოკუმენტების ასლი.¹²⁶

იმ შემთხვევაში თუ გარანტი დაარღვევს პრინციპალთან დადებული ხელშეკრულების პირობებს და არ გასცემს საბანკო გარანტიას, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი. იგივე შედეგი დადგება გარანტისათვის, თუ იგი გასცემს გარანტიას პრინციპალთან დადებული ხელშეკრულების პირობების სანინააღმდეგოდ.

¹²⁴ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 212

¹²⁵ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 224

¹²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 886

გამომდინარე იქიდან, რომ გარანტი პრინციპალის თხოვნით გასცემს გარანტიას საინტერესოა ამ უკანასკნელის მოვალეობების განხილვაც.¹²⁷ პრინციპალს ეკისრება საზღაურის გადახდა საბანკო გარანტიის მიცემისათვის, რომლის გადახდის თორმაც შეიძლება იყოს ერთჯერადი ან პერიოდულად გადასახდელი.¹²⁸

იმ შემთხვევაში თუ მოვალე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე გარანტი გასცემს საგარანტიო თანხას, რომელიც შემდგომ უნდა დაუბრუნოს პრინციპალმა. აქედან გამომდინარე საგარანტიო თანხა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კრედიტი.¹²⁹ პრინციპალის ვალდებულება უკან დაუბრუნოს თანხები, რომელიც გარანტმა გასცა ბენეფიციარის სასარგებლოდ წარმოიშობა არა კანონით, არამედ პრინციპალსა და გარანტს შორის დადებული ხელშეკრულებით.¹³⁰ კანონის მიხედვით რეგრესის უფლება გარანტს არ წარმოეშობა, თუ ბენეფიციარმა ანაზღაურება მიიღო გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ, ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო.¹³¹ კანონის ეს დანაწესი დისპოზიციური ხასიათს ატარებს და მხარეებს ანიჭებს სხვაგვარად შეთანხმების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ მიუხედავად ნორმით გათვალისწინებული დარღვევებისა გარანტს მაინც ჰქონდეს რეგრესული ანაზღაურების უფლება. შესაბამისად ამგვარი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში გარანტი შეიძენს რეგრესის უფლებას მაშინაც, როცა მის მიერ თანხის გაცემა ბენეფიციარზე მოხდება გარანტიის საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულებების დარღვევის გამო.¹³²

¹²⁷ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.226 - 227

¹²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 880

¹²⁹ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 227

¹³⁰ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 584

¹³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 890

¹³² ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 585

2.2.3. საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება

საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს საბანკო გარანტიის გაცემის საფუძველს.¹³³ ამ ხელშეკრულებით გარანტს წარმოეშობა ვალდებულება გასცეს საბანკო გარანტია ბენეფიციარის სასარგებლოდ თავისი სახელით, თუმცა პრინციპალის ინტერესებიდან გამომდინარე და ამ უკანასკნელის ხარჯზე.¹³⁴ შესაბამისად საბანკო გარანტიაში მოიაზრება ურთიერთობა გარანტსა და ბენეფიციარს შორის. სადაც გარანტი კისრულობს ცალმხრივ ვალდებულებას.¹³⁵ საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს პრინციპალის ვალდებულების სათანადო შესრულებას ბენეფიციარის სასარგებლოდ.¹³⁶

იმასთან დაკავშირებით თუ რას წარმოადგენს საბანკო გარანტია, ხელშეკრულება, რომელიც იღება გარანტსა და ბენეფიციარს შორის, თუ ცალმხრივ გარიგებას, რომელიც გაიცემა გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ, ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს.

არსებობს მოსაზრება, რომ საბანკო გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულებას, რადგან გარანტსა და პრინციპალს შორის შეთანხმება არაა საკმარისი და საჭიროა ბენეფიციარის ნების გამვლენაც იმაზე, რომ ამ უკანასკნელს სურს მიიღოს გარანტია. შესაბამისად აუცილებელ პირობად მიიჩნევენ ბენეფიციარის მხრიდან გარანტიის აქცეპტირებას. ბენეფიციარისა და გარანტის წინასწარ შეთანხმება საგარანტიო პირობებზე და ის, რომ ბენეფიციარი იღებს მხოლოდ მისთვის სასურველ გარანტიას, წარმოადგენს ამ მოსაზრების არგუმენტს. ასევე ერთ-ერთი არგუმენტი, რომლითაც ხდება ამ მოსაზრების გამყარება არის ის, რომ საბანკო გარანტია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში. რაც შეეხება

¹³³ ზ. ჭეჭელაშვილი, ქართული ბიზნეს სამართალი, თბ., 2017, გვ. 177

¹³⁴ პ. ხოტენაშვილი, საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015, გვ. 17

¹³⁵ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 213

¹³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 880

აქცეპტის ფორმას, საუბრია, როგორც კონკლუდენტურ,¹³⁷ ასევე დუმილით აქცეპტირებაზე.¹³⁸

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც საბანკო გარანტია არის არა ხელშეკრულება, არამედ ცალმხრივი გარიგება.¹³⁹

ვფიქრობ მეორე მოსაზრება არის მართებული და არ შეიძლება საბანკო გარანტიის, როგორც ხელშეკრულების განხილვა.

იმისათვის, რომ სახეზე იყოს ხელშეკრულება აუცილებელია არსებობდეს ოფერტი და აქცეპტი. ამ შემთხვევაში საინტერესოა აქცეპტის საკითხი. აქცეპტი წარმოადგენს მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას.¹⁴⁰ საბანკო პრაქტიკაში გარანტიის უპირველესი ადრესატი პრინციპალია. ბენეფიციარს კი იგი გადაეცემა გარანტისაგან ან პრინციპალისაგან.¹⁴¹ თუ ბანკის მიერ გაცემულ საგარანტიო წერილს ჩავთვლით ოფერტად, რომელიც თავის მხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, გამოდის, რომ ვიდრე აღნიშნული ოფერტი მიუვა ბენეფიციარს და ვიდრე არ განაცხადებ აქცეპტს, იქამდე საბანკო გარანტია არ ჩაითვლება წარმოშობილად. თუმცაღა სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლის თანახმად საბანკო გარანტია წარმოიშობა მისი გამოცემის მომენტიდან.¹⁴² ამ ნორმიდან ჩანს, რომ საბანკო გარანტია გარანტის მიერ საგარანტიო წერილის გაცემის და არა ამ წერილის ბენეფიციარის მხრიდან აქცეპტის გაკეთების საფუძველზე წარმოიშობა. შესაბამისად საბანკო გარანტიის ნამდვილობისათვის აუცილებელია მხოლოდ გარანტის ნება და სხვა პირთა თანაქმედება არაა საჭირო.¹⁴³

ის, რომ ბენეფიციარი იღებს მისთვის სასურველ გარანტიას, არ ქმნის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებად აღიარების საფუძველს. მოვალე (პრინციპალი) და

¹³⁷ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 214 - 215

¹³⁸ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012, გვ. 231

¹³⁹ პ. ხოტენაშვილი, საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015, გვ. 19

¹⁴⁰ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 126

¹⁴¹ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძველები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014, გვ. 442

¹⁴² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 884

¹⁴³ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., გამომც. „ევროპული და შედარებით სამართლის ინსტიტუტი“, 2007, გვ. 243

კრედიტორი (ბენეფიციარი) თანხმდებიან, რომ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილი იყოს საბანკო გარანტიით და ასევე თანხმდებიან, იმაზე თუ რა პირობებით გაცემული საბანკო გარანტიაა კრედიტორისათვის მისაღები. შემდგომ კი ხდება პრინციპალსა და გარანტს შორის შეთანხმება საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე, რა დროსაც პრინციპალი აძლევს გარანტს ინსტრუქციებს საბანკო გარანტიის პირობებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე პრინციპალის ეს ინსტრუქცია გამოხატავს მისივე და არა ბენეფიციარის ნებას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტრუქცია ბენეფიციარის სურვილის საფუძველზე წარმოიშვა.¹⁴⁴

ის, რომ საბანკო გარანტიისას აქცეპტი დუმლით შეიძლება განხორციელოს ბენეფიციარმა უსაფუძვლოა. დუმლით არ შეიძლება სახეზე იყოს აქცეპტი, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს აქცეპტს.¹⁴⁵ სამოქალაქო კოდექსის 335 - ე მუხლის თანახმად დუმლი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს აქცეპტი თუ ის წინადადების მიმღები და ოფერენტი საქმიან კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან.¹⁴⁶ უფრო კონკრეტულად, კი წინადადების მიმღები პირი აუცილებლად უნდა იყოს მეწარმა და ოფერენტთან ხშირ საქმიან კავშირში უნდა იმყოფებოდეს.¹⁴⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბანკო გარანტია, რომელსაც გასცემს გარანტი ბენეფიციარის სასარგებლოდ, წარმოადგენს არა ხელშეკრულებას, არამედ ცალმხრივ გარიგებას.

საბანკო გარანტია ეფუძნება არა მხარეთა შეთანხმებას (ხელშეკრულებას), არამედ მისი გამცემი პირის (გარანტის) ცალმხრივ და უპირობო ვალდებულებას.¹⁴⁸

სამოქალაქო კოდექსის 882-ე მუხლის თანახმად საბანკო გარანტია შეიძლება იყოს გამოთხოვადი ან გამოუთხოვადი.¹⁴⁹ თუმცა საბანკო გარანტია, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო პრაქტიკაში, უმეტეს შემთხვევაში გამოუთხოვადი სახის არის. რაც შეეხება გამოთხოვად საბანკო გარანტიას, იგი გამონაკლისს წარმოადგენს საერთო წესიდან. იმისათვის, რომ საბანკო გარანტია

¹⁴⁴ ვ. ხოტენაშვილი, საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015, გვ. 22

¹⁴⁵ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებით სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“ 1999, გვ. 19

¹⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 335

¹⁴⁷ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებით სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“ 1999, გვ. 19

¹⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 მარტი საქმე № ას-781-996-08

¹⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.882

გამოთხოვადი იყოს, ამისათვის აუცილებელია პრინციპალსა და გარანტს შორის შეთანხმება ამის თაობაზე, თუმცა ალნიშნული საკმარისი არ არის. აუცილებელია ასევე საბანკო გარანტიის პირობებში იქნეს ალნიშნული მის გამოთხოვად ხასიათზე. ასევე აუცილებელია იმ საფუძვლების განერა, რომლის დროსაც ექნება გარანტ უფლება გამოითხოვოს საბანკო გარანტია. გამოთხოვადი საბანკო გარანტიის გამოთხოვის უფლება მხოლოდ გარანტს გააჩნია.¹⁵⁰ თუმცა გამოთხოვა გამოთხოვადი გარანტიის დაუშვებელია მას შემდეგ, როცა ბენეფიციარი წარადგენს მოთხოვნას გარანტის მიმართ საგარანტიო თანხების ანაზღაურების თაობაზე.¹⁵¹

რაც შეეხება საბანკო გარანტიიდან გამომდინარე უფლების დათმობას ამას ეხება სამოქალაქო კოდექსის 883-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ბენეფიციარის კუთვნილი უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუმცა არსებობს გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან, როდესაც შესაძლებელია ამ უფლების გადაცემა. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც საბანკო გარანტია პირდაპირ ითვალისწინებს ამგვარ შესაძლებლობას.¹⁵²

2.2.4. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა

საბანკო გარანტიას განსხვავებით თავდებობისაგან გააჩნია არააქცესორული ხასიათი. ამას ალნიშნავს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საბანკო გარანტია დამოუკიდებელია იმ ხელშეკრულებისაგან რომელსაც უზრუნველყოფს საბანკო გარანტია, მაშინაც როდესაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილ ხელშეკრულებაზე შეიცავს მითითებას.¹⁵³ შესაბამისად უზრუნველყოფილი ხელშეკრულების სუბიექტების უფლებები და მოვალეობები გავლენას ვერ ახდენს საბანკო გარანტიაზე. უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით საბანკო გარანტია დამოუკიდებელია და იგი ინარჩუნებს ძალას მაშინაც კი, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება შეწყდება ან

¹⁵⁰ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 578

¹⁵¹ О. М Олейник. Основы банковского права: Курс лекций – Москва, изд.»Юрист» 1997, გვ.363-364

¹⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.883

¹⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.881

გაბათილდება.¹⁵⁴ გარანტიის არააქცესორულობაში იგულისხმება გარანტიის დამოუკიდებლობა, როგორც პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის, ასევე პრინციპალსა და გარანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისაგან.¹⁵⁵ არააქცესორული ბუნებიდან გამომდინარე გარანტს არ შეუძლია წარუდგინოს შესაგებელი ბენეფიციარს, რომელიც ამ უკანასკნელსა და პრინციპალს შორის ურთიერთობიდან გამომდინარეობს.¹⁵⁶

ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია სასამართლო პრაქტიკა. დავა შეეხებოდა საავანსო საბანკო გარანტიას. კერძოდ დავის საგანს წარმოადგენდა ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტის მიმართ საგარანტიო თანხების ანაზღაურების თაობაზე. სს „ს. ნ. და გ. კ-სა“ და შპს „ნ. ე-ს“ შორის 2011 წლის 7 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს ნ. ე-ი, როგორც კონტრაქტორი ვალდებული იყო ჩაეტარებინა სამშენებლო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 12 800 000 ლარს. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოსარჩელე ავანსის სახით კონტრაქტორს გადაუხდიდა კონტრაქტის ჯამური ღირებულების 20%, შესაბამისი ავანსის ღირებულების საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში. ამასთან, ანგარიშსწორებისას კონტრაქტორისთვის გადასახდელი თანხიდან მოსარჩელე გამოქვითავდა ანგარიშფაქტურაში და ფორმა №2-ში მითითებული თანხის 20%-ს, ვიდრე არ მოხდებოდა გადახდილი საავანსო თანხის მთლიანი მოცულობით გაქვითვა, რაც გულისხმობს სამუშაოს სრულად შესრულებას. შპს „ნ. ე-ს მიერ წარდგენილ იქნა შპს „ს. კ. უ-ს მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომლის პირობების თანახმადაც საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა მცირდებოდა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულების ოდენობით. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრა 861 388.07 ლარით. ბენეფიციარს და პრინციპალს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული არის 994 108.71

¹⁵⁴ О. М Олейник. Основы банковского права: Курс лекций – Москва, изд.»Юрист» 1997, გვ. 366

¹⁵⁵ ნ. ლიპარტია, საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, თბ., სამართლის ჟურნალი, #2, 2017, გვ.43-44

¹⁵⁶ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 577

ღირებულების სამუშაოები. გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში პრინციპალს შესრულებული აქვს იმაზე მეტი ღირებულების სამუშაო ვიდრე უზრუნველოფდა საბანკო გარანტია, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილება წინააღმდეგობაში მოვიდოდა საბანკო გარანტიის პირობებთან.¹⁵⁷

ზემოაღნიშნული საქმეზე არსებობდა კოლიზია პრინციპალს და ბენეფიციარს შორის დადებულ ხელშეკრულების პირობებში და საბანკო გარანტიის პირობებს შორის. სასამართლომ კი სწორედ მიანიჭა უპირატესობა საბანკო გარანტიის პირობებს.

2.2.5. საბანკო გარანტიის ფორმა და შინაარსი

რაც შეეხება საბანკო გარანტიის ფორმას, აღნიშნულზე მითითებას აკეთებს სამოქალაქო კოდექსის 879 - მუხლი, რომლის თანახმადაც გარანტია გაცემულ უნდა იქნეს წერლობითი ფორმით.¹⁵⁸ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით ავტორი მიიჩნევს, რომ გარანტიაზე ბენეფიციარის მხრიდანაც უნდა იყოს ხელმოწერა.¹⁵⁹ ბენეფიციარის მხრიდან ხელის მოწერას კანონი არ მოითხოვს, რაც ლოგიკურია, ვინაიდან საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგებაა, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია მხოლოდ ერთი პირის, ამ შემთხვევაში გარანტის, ნებაზე. საბანკო გარანტიაზე გარანტის მხრიდან ხელის მოწერა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მისი ნამდვილობა ეჭვის ქვეშ არ იდგეს.

საინტერესოა საბანკო გარანტიის ძალაში შესვლისა და მისი მოქმედების ვადების საკითხი. სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის დროს უკავშირებს მის გაცემის თარიღს. შესაბამისად საბანკო გარანტია ძალაში შედის გარანტის მიერ მისი გაცემის მომენტიდან, თუმცა სასამართლო კოდექსი ითვალისწინებს საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის თაობაზე განსხვავებული წესის

¹⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის საქმე № ას-ას-80-77-2014

¹⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.879

¹⁵⁹ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ. 216

დადგენის შესალებლობას.¹⁶⁰ აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ საბანკო გარანტიის გაეცმის დრო და მისი ძალაში შესვლის დრო შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, რაზეც აუცილებელია პრინციპალსა და გარანტს შორის მოხდეს შეთანხმება.¹⁶¹

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადას, ვინაიდან კანონმდებელი გარანტიით მინიჭებული უფლების რეალიზაციას მხოლოდ ამ ვადის ფარგლებში ხდის შესაძლებელს.¹⁶² სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს იმპერატიულად გარანტიის ვადის ზუსტად განსაზღვრის ვალდებულებას და შესაბამისად არ ხდის სავალდებულოს, რომ საბანკო გარანტია კონკრეტული კალენდარული თარიღით ან დროსი გარკვეული პერიოდით განისაზღვროს. შესაბამისად მხარეებს უფლება აქვთ თავისუფლად განსაზღვრონ საბანკო გარანტიის მოქმედების წესი, რაც შეიძლება იყოს დამოკიდებული კალენდარულ თარიღზე, რაიმე პირობაზე, რაიმე მოვლენის დადგომაზე და ასევე რაიმე მოქმედების შესრულებაზე.¹⁶³ შესაძლებელია საბანკო გარანტიის ვადა დამოკიდებული იყოს თანხის სრულად გადახდის დროზე. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ საბანკო გარანტია ძალაშია ვიდრე არ მოხდება უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდა. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადის გასვლა არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის ვადის გასვლას. რადგან გარანტიის მოქმედების ვადა ამ შემთხვევაში განისაზღვრა გადახდის განხორციელებით და არა ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.¹⁶⁴

როგორც აღინიშნა ასევე შესაძლებელია საბანკო გარანტიის ვადა დამოკიდებული იყოს უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადაზე, მაგრამ საინტერესოა საკითხი იმაზე, თუ რა ხდება მაშინ როდესაც ძირითადი ხელშეკრულების ვადა იცვლება, ანუ იმ შემთხვევაში თუ საბანკო გარანტიის ვადა დამოკიდებულია ძირითადი ხელშეკრულების ვადაზე და ძირითადი

¹⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.884

¹⁶¹ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 575

¹⁶² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.885

¹⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბერი საქმე №ას-562-871-09

¹⁶⁴ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.218

ხელშეკრულების ვადა, მაგალითად გაიზარდა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. დავა შეეხებოდა შემდეგს: სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და შპს „მშენებელს“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება. შპს „მშენებელმა“ წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების, სს სადაზღვევო კომპანია „გეოპოლის“, რომლის უფლებამონაცვლედ შემდგომ პროცესში ჩაერთო შპს „ბი-ჯი-სი“, მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საბანკო გარანტიის ვადად განისაზღვრა ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადა. გამომდინარე იქიდან, რომ შპს „მშენებელი“ ვერ იცავდა ხელშეკრულებით დადგენლ ვადებს, ფონდის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ. ამის შემდგომ კვლავ ვერ ახორციელებდა შპს „მშენებელი“ დადგენილ ვადებში სამუშაოს შესრულებას, რის საფუძველზეც ფონდმა მიმართა შპს „ბი-ჯი-სი“-ს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც ამ უკანასკნელმა განაცხადა უარი იმ საფუძველით, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ამონორული იყო. (საუბარია პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პიველად ვადაზე).

სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ აპელირებდა, იმაზე, რომ მასსა და შპს „მშენებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელებით საბანკო გარანტიის ვადაც ავტომატურად გაგრძელდა, რის გამოც მისი მოთხოვნა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურებასთან დაკავშირებით კანონიერია. იგი ამ მოსაზრებას აყრდნობს საბანკო გარანტიაში მითითებულ დათქმაზე, სადაც წერია, რომ „წინამდებარე გარანტია ძალაშია კონტრაქტის მოქმედების პერიოდში“.

უზენაესმა სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ფონდის არგუმენტაცია და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საბანკო გარანტია ითვალისწინებდა მოქმედების ზუსტ დროს, რომელიც იყო პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ვადის ამგვარი განსაზღვრა კანონიერია. შესაბამისად დაუსაბუთებლად მიიჩნევს უზენაესი

სასამართლო ფონდის მოსაზრებას, რომ მასსა და პრინციპალს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების გაგრძელებით ავტომატურად გაგრძელდა საბანკო გარანტიის ვადა. ამ შემთხვევაში მხარეებმა გამოხატეს ნება გარანტიის ვადასთან დაკავშირებით და ამ პირობის შეცვლა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა რაიმე გარეგან ფაქტორზე, რადგან საბანკო გარანტიის გაცემა მხოლოდ გარანტის ნამდვილ ნებაზეა დამოკიდებული. გარანტიაში მითითებულია კონკრეტულ ვადაზე და არაა რაიმე დათქმა ამ ვადის გაზრდაზე ან მოსალოდნელ ცვლილებებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელებამ არ შეიძლება იმოქმედოს საბანკო გარანტიაზე.¹⁶⁵

ზემოხსენებულ კაზუსთან დაკავშირებით ასევე აღსანიშნავია, რომ გარანტისათვის ცნობილია ძირითადი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო გარანტიის ვადა დადგენილია უზრუნველყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხოლო პრინციპალისა და ბენეფიციარის შეთანხმება შემდგომ ვადის გაგრძელებაზე გარანტისათვის უცნობია. ამიტომ გარანტის ნების და მისი თანხმობის გარეშე გარანტიის ვადის გაგრძელება დაუშვებელია.¹⁶⁶

ბენეფიციარი უფლებამოსილია თავისი უფლება, კერძოდ გარანტისაგან თანხების ანაზღაურების მოთხოვნა წარადგინოს დადგენილ ვადებში, თუმცაღა ამ უფლების წარმოსაშობად აუცილებელია საგარანტიო შემთხვევის დადგომა. საგარანტიო შემთხვევაში იგულისხმება ძირითადი ხელშეკრულების ისეთი დარღვევა, რომლის შემდგომაც ბენეფიციარს წარმოეშობა გარანტისაგან თანხების მოთხოვნის უფლება. საგარანტიო შემთხვევა აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული ხელშეკრულებით ან საგარანტიო წერილით. მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს კონკრეტულად და დეტალურად, რათა მეტად დაცული იყოს გარანტის ინტერესები.¹⁶⁷

ერთ-ერთ არსებით საკითხს საბანკო გარანტიის შინაარსთან დაკავშირებით წარმოადგენს საგარანტიო თანხა, ანუ თანხა რომლის ფარგლებშიც კისრულობს

¹⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბერი საქმე №ას-562-871-09

¹⁶⁶ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.218-219

¹⁶⁷ იქვე, გვ.219-220

გარანტი ვალდებულებას ბენეფიციარის სასარგებლოდ. აღნიშნული კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული საბანკო გარანტიის გაცემის დროს. საგარანტიო თანხა შეიძლება არ იყოს პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ტოლი. გამომდინარე აქედან საბანკო გარანტია არ არის მთლიანი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება, არამედ იგი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ოდენობის მოთხოვნას. თუმცა არაა გამორიცხული საბანკო გარანტიით მთლიანი ვალდებულების უზრუნველყოფა.¹⁶⁸

2.2.6. ბენეფიციარის და გარანტის ურთიერთობა

როგორც უკვე აღინიშნა საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგებაა, რომლისაც გასცემს გარანტი ბენეფიციარის სასარგებლოდ. საბანკო გარანტიის გაცემის შემდგომ წარმოიშობა ურთიერთობა ბენეფიციარსა და გარანტს შორის. ვინაიდან საბანკო გარანტია ცალმხრივი ვალდებულებაა, ბენეფიციარი ამ ურთიერთობაში აღჭურვილია მხოლოდ უფლებებით, ხოლო გარანტი წარმოადგენს პირს, რომელსაც ეკისრება ვალდებულებები მის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად. ბენეფიციარის უფლებას წარმოადგენს საგარანტიო თანხის მოთხოვნის უფლება, ხოლო გარანტის ვალდებულება მდგომარეობს იმაში, რომ გასცეს საგარანტიო თანხები. აღნიშნული უფლება-მოვალეობის განხორციელება უნდა მოხდეს დადგენილი წინაპირობების წარმოშობის შემთხვევაში და კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.

იმისათვის, რომ ბენეფიციარს წარმოეშვას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, აუცილებელია, რომ სახეზე იყოს საგარანტიო შემთხვევა, ანუ საგარანტიო შემთხვევის დადგომის მომენტიდან ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს საგარანტიო თანხების ანაზღაურება.¹⁶⁹

ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხების მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ჯეროვნად. მოთხოვნის ჯეროვნად განხორციელებაში

¹⁶⁸ რ. შენგელია, საბანკო გარანტია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 225

¹⁶⁹ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.221

იგულისხმება ზუსტი შესაბამისობის პრინციპის დაცვა ბენეფიციარის მხრიდან. ზუსტი შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მოთხოვნა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საბანკო გარანტიის პირობებთან და ასევე უნდა ერთვოდეს გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტები. ამ პრინციპის დაცვის ვალდებულება ბენეფიციარს აკისრია. ბენეფიციარის მხრიდან ამ პრინციპის დარღვევა გარანტის მხრიდან მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს.¹⁷⁰

ბენეფიციარის ვალდებულება საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის სწორედ წარდგენაა. გარანტი კი გადაწყვეტილებას იღებს მას შემდგომ როცა მოახდენს წარდგენილი მოთხოვნის შემოწმებას. გარანტი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შესაბამეა გარანტიის პირობებს.

ზუსტი შესაბამისობის პრინციპს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს, რომლის თანახმადაც ბენეფიციარმა გარანტის მიმართ თავისი მოთხოვნა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხების ანაზღაურებაზე უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით, რომელსაც უნდა ერთვოდეს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები. ასევე ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება ვალდებულების დარღვევა.¹⁷¹ ასევე ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენა უნდა განხორციელდეს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში. ეს არის ის მოთხოვნების, რომლის დაცვის ვალდებულებაც აქვს ბენეფიციარს და რომლის დარღვევის შემთხვევაშიც გარანტს წაერმოემობა უფლება უარი უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ზუსტი შესაბამისობის პრინციპის შეფასებასთან დაკავშირებით არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებებიც. სასამართლოები არ აქცევენ ყურადღებას მოთხოვნის ფორმალურ შესაბამისობას. ისინი მხოლოდ მოთხოვნის მატერიალური საფუძვლების შესაბამისობას უსვამენ ხაზს. საქალაქო სასამართლომ განიხილა საავანსო გარანტიიდან გამომდინარე თანხის დაკისრების შესახებ დავა. გარანტის

¹⁷⁰ ნ. ლიპარტია, საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, თბ., სამართლის ჟურნალი, #2, 2017, გვ.47

¹⁷¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.885

მიერ მითითებული იყო მის მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძვლები, კერძოდ ის, რომ ბენეფიციარმა მოთხოვნა საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ წარადგინა, საგარანტიო თანხა მცირდებოდა შესრლებული სამუშაოს ოდენობით და ბენეფიციარის მხრიდან არ მოხდა ძირითადი ვალდებულების დარღვევის შესახებ მითითება. სამოქალაქო კოდექსის 885- მუხლის შინაარსი იმპერატიული ხასიათისაა, თუმცა ბენეფიციარმა არ აღწერა ვალდებულების დარღვევის შინაარსი და არც გარანტიაში მითითებული დოკუმენტაცია არ დაურთავს. სასამართლომ კი არ მიაქცია ყურადღება მოთხოვნის ფორმალურ შესაბამისობას. სასამართლო ვალდებული იყო გაეკეთებინა განმარტება ფორმალური შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით.

ბენეფიციარის მხრიდან გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის ფორმასთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო გადაწყვეტილება, კერძოდ: გარანტის თქმით ბენეფიციარის მიერ იგი არ იყო სათანადოდ ინფორმირებული პრინციპალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის თაობაზე. ბენეფიციარის ვალდებულებას წარმოადგენდა იმის მითითება, თუ რაში გამოიხატებოდა პრინციპალის ვალდებულების დარღვევა და ის, თუ რა ოდენობის ზარალი მიიღო ბენეფიციარმა ამით. შესაბამისად გარანტის მიერ გადახდაზე უარის მიზეზი არაჯეროვანი მოთხოვნის წარდგენა იყო. სასამართლოს თქმით გარანტს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება უარი უთხრას ბენეფიციარს ანაზღაურებაზე, თუ მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ასევე როცა გასულია საგარანტიო ვადა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი არ არსებობს აცერთი ზემოაღნიშნული საფუძველი. ამ საქმეზე დადგენიდა, რომ გარანტი არ აცხადებს თანხის გადახდაზე უარს არც დოკუმენტების საბანკო გარანტიისადმი შეუსაბამობის და არც ვადის გასვლის გამო. სასამართლოს თქმით ერთადერთი პირობა რასაც შეიძლება გამოეწვია გარანტის ვალდებულება გადაეხადა თანხა ბენეფიციარისათვის, იყო ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნის საგარანტიო ვადაში წარდგენა და გამომდინარე იქიდან, რომ გარანტია რაიმე სპეციალურ დათქმას არ ითვალისწინებდა, არ არსებობს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის

მიზნების კვლევის საჭიროება. სასამართლომ გარანტიის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო და დააკისრა მას თანხის გადახდა.

სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა სამოქალაქო კოდექსის 885 მუხლის ის იმპერატიული დათქმა, რომელიც ბენეფიციარს გარანტიის ჯეროვნად ინფორმირების ვალდებულებას აკისრებს. აღნიშნული მუხლი ადგენს ზუსტი შესაბამისობის პრინციპს, რომელიც ბენეფიციარის მიერ საგარანტიო თანხის მოთხოვნისას მასვე სამი ქმედების განხორციელებას ავალდებულებს, კერძოდ მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, უნდა დაურთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტაცია და მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რაში გამოიხატება ძირითადი ვალდებულების დარღვევა. ამ სამიდან რომელიმეს დარღვევა წარმოადგენს ზუსტი შესაბამისობის პრინციპის და შესაბამისად სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლით გათვალისწინებული იმპერატიული წესის დაღვევას, რაც გარანტიის მხრიდან ბენეფიციარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. სასამართლოს მხრიდან კი დარღვეულ იქნა აღნიშნული პრინციპი.¹⁷²

როგორც აღინიშნა გარანტიის ძრითად მოვალეობას წარმოადგენს საგარანტიო თანხის გადახდა ბენეფიციარის სასარგებლოს საგარანტიო შემთხვევის დადგომის და ბენეფიციარის მხრიდან ჯეროვანი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ. იგი ასევე ვალდებულია შეამოწმოს ბენეფიციარის მოთხოვნა შეესაბამება თუ არა ზუსტი შესაბამისობის პრინციპს და არის თუ არა საგარანტიო ვადაში წარდგენილი.

იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ან ამ ვალდებულების შეწყვეტის ან გაბათილების შესახებ, მან ამის თაობაზე უნდა აცნობოს პრინციპალსა და გარანტს.¹⁷³ თუმცაღა თავდებობისაგან განსხვავებით აღნიშნული არ წარმოადგენს გარანტიის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს, რადგან გარანტის მხრიდან პრინციპალისა და ბენეფიციარის ინფორმირების შედეგად ამ

¹⁷² ნ. ლიპარტია, საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, თბ., სამართლის ჟურნალი, #2, 2017, გვ.52-53

¹⁷³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.887

უკანასკნელის მიერ ხელმეორე მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში გარანტი ვალდებულია შეასრულოს და დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთხოვნა.¹⁷⁴

განსხვავებით თავდებობისაგან გარანტს არ გააჩნია უფლება ბენეფიციარის წინააღმდეგ გამოიყენოს პრინციპალის შესაგებელი. გარანტს აქვს მხოლოდ საკუთარი შესაგებელის გამოყენების უფლება.

გარანტის შესაგებელი შესაძლოა გარანტიის შინაარსთან იყოს კავშირში. ეს მაშინაა, როდესაც დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ან საგარანტიო ვადა უკვე გასულია.¹⁷⁵

2.2.7. საბანკო გარანტიის შეწყვეტა

საგარანტიო თანხის გადახდას არ წარმოადგენს მუდმივ ვალდებულებას.¹⁷⁶ გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო გარანტია არააექსესორული ხასიათისაა, მისი შეწყვეტის საკითხი არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე.¹⁷⁷ სამოქალაქო კოდექსის 889 -ე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს საბანკო გარანტიის შეწყვეტის საფუძვლებს.¹⁷⁸

საბანკო გარანტია განსაზღვრული ვადით გაიცემა. ამ ვადის გასვლა არის საფუძველი საბანკო გარანტიის შეწყვეტისა და ამის თაობაზე სპეციალური დათქმის გაკეთება საჭირო აღარ არის.

საბანკო გარანტიის შეწყვეტის მორიგ საფუძველს წარმოადგენს გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემა.

თუ ბენეფიციარი უარს იტყვის გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე და დაუბრუნებს გარანტს საგარანტიო წერილს, მაშინ საბანკო გარანტია შეწყდება. ბენეფიციარის უარი უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. უარის

¹⁷⁴ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.226

¹⁷⁵ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.229

¹⁷⁶ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 588

¹⁷⁷ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, გვ.233

¹⁷⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ.889

წერილობითი ფორმით გაანუხორციელებლობის შემთხვევაში საბანკო გარანტია შეწყვეტილად ვერ ჩეთლება.

გარანტი ვალდებულია საბანკო გარანტიის შეწყვეტის შესახებ აცნობოს პრინციპალს.¹⁷⁹

თავი III. კვლევის შედეგები

ნაშრომიდან ჩანს თუ რამხელა მსგავსება აქვს თავდებობასა და საბანკო გარანტიას, თუმცაღა ასევე ნათელია მათ შორის არსებითი სხვაობები.

ორივე ინსტიტუტი მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებებს წარმოადგენენ. როგორც თავდებობის ასევე საბანკო გარანტიის შემთხვევაში ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფას ახორციელებს მესამე პირი, რომელსაც ბრალი არ მიუძღვის ვალდებულების დარღვევაში, პირველის შემთხვევაში თავდები, ხოლო მეორეს შემთხვევაში გარანტი. ორივე მათგანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ამ მსგავსებების მიუხედავად თავდებობა და საბანკო გარანტია დამოუკიდებელ ინსტიტუტებს წარმოადგენენ და შესაბამისად არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

თავდებობას და საბანკო გარანტიას წარმოშობის სხვადასხვა საფუძვლები აქვთ. იმისათვის, რომ თავდებობა წარმოიშვას აუცილებელია თავდების წერილობითი განცხადება და წერილობითი ხელშეკრულება თავდებსა და კრედიტორს შორის. თუმცაღა თავდებობის ნამდვილობისათვის თავდების წერილობითი განცხადება, რომელშიც ხელშეკრულებისათვის აუცილებელი პირობები იქნება მითითებული

¹⁷⁹ ი. რობაქიძე, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 588-589

საკმარისია და სხვა რაიმე დოკუმენტის არსებობა საჭირო აღარ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თავდებობა წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც თავდებსა და კრედიტორს შორის იდება.

საბანკო გარანტიის წარმოშობასთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა. განსხვავებით თავდებობისაგან საბანკო გარანტიის წარმოშობისათვის აუცილებელია რამოდენიმე მოქმედების განხორციელება, კერძოდ პირველ რიგში ხელშეკრულება უნდა დაიდოს პრინციპალსა და გარანტს შორის, რომელსაც საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულებას უწოდებენ, ხოლო შემდგომ გარანტმა უნდა გასცეს საბანკო გარანტია ბენეფიციარის სასარგებლოდ. გარდა აღნიშნული ინსტიტუტების წარმოშობისათვის საჭირო პროცედურებს შორის სხვაობისა, ასევე არსებითი სხვაობაა ამ ორი დოკუმენტის სამართლებრივ ბუნებაში. საბანკო გარანტია, რომელიც ბენეფიციარის სასარგებლოდ გაიცემა და რომელიც წარმოადგენს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას გასცეს გარანტიით გათვალისწინებული საგარანტიო თანხა, წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას. შესაბამისად თავდებობისაგან განსხვავებით, რომელიც ორმხრივი ურთიერთმფარავი ნების საფუძველზე წარმოიშობა, საბანკო გარანტია მხოლოდ გარანტის ნების საფუძველზე იძენს ძალას.

ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს ასევე წარმოადგენს სუბიექტები, კერძოდ თავდებობის შემთხვევაში თავდებად შეიძლება ნებისმიერი სუბიექტი გამოვიდეს, ხოლო საბანკო გარანტიის შემთხვევაში გარანტი მხოლოდ ბანკი, სადაზღვევო კომპანია ან საკრედიტო დაწესებულება შეიძლება იყოს.

არსებითი სხვაობა, რომელიც ვლინდება ამ ორ ინსტიტუტს შორის, არის ის, რომ თავდებობა განსხვავებით საბანკო გარანტიისაგან აქცესორული ვალდებულებაა. შესაბამისად თავდებობისათვის განმსაზღვრელია იმ ძირითადი ხელშეკრულების არსებობა, რომელსაც უზრუნველყოფს თავდებობა. ძირითადი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში წყდება თავდებობაც. რაც შეეხება საბანკო გარანტიას იგი არააქცესორული ვალდებულებაა და შესაბამისად არაა დამოკიდებული იმ ვალდებულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. პრინციპალსა

და ბენეფიციარს შორის არსებული ხელშეკრულების ბათილობის ან სხვა რაიმე საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში საბანკო გარანტია კვლავ ძალაშია. საბანკო გარანტიის არააქცესორულობა ასევე გულისხმობს მის დამოუკიდებლობას იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც დაიდო პრინციპალსა და გარანტს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე.

თავდებობა, განსხვავებით საბანკო გარანტიისაგან შეიძლება იყოს სოლიდარულიც.

თავდებობა შეიძლება იყოს ვადიანი ან უვადო, ხოლო საბანკო გარანტია, მხოლოდ განსაზღვრული ვადით გაიცემა.

ბენეფიციარს, განსხვავებით კრედიტორისაგან, არ აქვს მოთხოვნის დათმობის უფლება.

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ ორი ინსტიტუტის განმასხვავებელ ნიშნებს წარმოაჩნეს, არის თავდებისა და გარანტიის უფლებები და შესაგებლები.

როგორც ნაშრომშია აღნიშნული თავდებს გააჩნია როგორც საკუთარი ასევე მოვალის შესაგებლები. საბანკო გარანტიის შემთხვევაში გამომდინარე მისი არააქცესორული ბუნებიდან გარანტი მოკლებულია უფლებას გამოიყენოს პრინციპალის შესაგებელი.

თავდების დერივატიულ შესაგებლებს წარმოადგენს ის შესაგებლები, რომლებიც გააჩნია მოვალეს, მაგალითად ძირითადი მოთხოვნა ხანდაზმულია, ამ შემთხვევაში თავდებს აქვს უფლება მოვალის ნაცვლად მიუთითოს ხანდაზმულობაზე. ასევე დერივატიული შესაგებლს წარმოადგენს თავდების უფლება უარი თქვას შესრულებაზე, ვიდრე მოვალეს გააჩნია უფლება სადავო გახადოს ძირითადი ხელშეკრულება.

თავდების საკუთარი შესაგებლებიდან აღსანიშნავია თავდების უარი კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ ეცდება სასამართლოს გზით დაკმაყოფილებას ძირითადი მოვალისაგან. აღსანიშნავია, რომ ეს შესაგებელი გამოიყენება, მხოლოდ სუბსიდიური თავდებობის დროს.

ასევე თავდებს შეუძლია მოითხოვოს პასუხისმგებლობის შემცირება საგირავნო ან სხვა უფლებების კრედიტორის მხრიდან შემცირების პროპორციულად.

რაც შეეხება გარანტს, მისი დაცვის მექანიზმები კანონში მწირია განსხვავებით თავდებობისაგან.

მსგავსად თავდებობისაგან გარანტსაც აქვს უფლება უარი უთხრას ბენეფიციარს დაკმაყოფილებაზე, ოღონდ განსხვავებული საფუძვლებით. გარანტის უფლება ბენეფიციარის მიმართ, გამომდინარეობს გარანტის ვალდებულებისაგან პრინციპალის მიმართ. გარანტი არა უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია არ გასცეს საგარანტიო თანხები ბენეფიციარის მიერ არაჯეროვანი მოთხოვნის გამო. გარანტის ეს უფლება და ამავდროულად ვალდებულება უარი თქვას დაკმაყოფილებაზე, მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნა არაჯეროვნად განხორციელდება. მოთხოვნის ჯეროვანი წარდგენა გულისხმობს მოთხოვნის წერილობით წარდგენას, რომელსაც უნდა ერთვოდეს გარანტიაში მითითებული დოკუმენტაცია და ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ რაში გამოიხატებოდა ვალდებულების დარღვევა. ამ სამი მოთხოვნიდან ერთ-ერთის დარღვევა იწვევს მოთხოვნის არაჯეროვნობას. აი ასეთ შემთხვევაში არის გარანტი ვალდებული უარი უთხრას გარანტს დაკმაყოფილებაზე. თუმცაღა ქართული სასამართლო პრაქტიკა სამწუხაროდ არ იზიარებს ამ სამი კომპონენტის არსებობის საჭიროებას და შესაბამისად უგულვებელყოფს ზუსტი შესაბამისობის პრინციპს, რაც უსაფუძვლოა და მიმაჩნია, რომ უნდა შეიჩვალოს ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკა, რათა გამოირიცხოს უკანონო გადანყვეტილებების მიღება.

ასევე გარანტის უარი საფუძვლიანი იქნება მაშინ, როდესაც ბენეფიციარი მოთხოვნას საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ წარადგენს.

მეტიც, თავდებს გააჩნია უფლებები, როგორც საკუთარი, ასევე ძირითადი მოვალის. გარანტი კი ამ კუთხით, მხოლოდ ვალდებულებებითაა აღჭურვილი. მისი მხრიდან საგარანტიო თანხის გაცემა, რომელიც ბენეფიციარის მიერ არაჯეროვანი მოთხოვნის საფუძველზე გაიცა, გარანტს აკარგვინებს პრინციპალისაგან რეგრესის უფლებას. კანონმდებელი გარანტს რთულ მდგომარეობაში აყენებს, ერთის

შემთხვევაში იგი ვალდებულია გასცეს საგარანტიო თანხები ბენეფიციარზე და მეორეს მხრივ ვალდებულია, რომ ამ თანხების გაცემა მოხდეს ბენეფიციარის მიერ ჯეროვანი მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე. გარანტი ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს ბენეფიციარის მოთხოვნის კანონიერება.

თავდების უფლებები ასევე ვრცელდება მოვალეებზე. თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდგომ თავდები უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურება მოვალისაგან. აღნიშნულს არ სჭირდება რაიმე შეთანხმება. კანონი თავად აღგენს მოვალის ვალდებულებას, თავდებს აუნაზღაუროს ის თანხები, რომელიც გაღებულ იქნა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად. გამონაკლისია იმ შემთხვევაში, თუ თავდებობა სასყიდლიანია და შეთანხმებით გამოირიცხა თავდების ეს უფლება.

განსხვავებულად არის საქმე გარანტიის შემთხვევაში. გარანტს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება პრინციპალის მიმართ, როდესაც ამის შესახებ იყო შეთანხმება.

როგორც თავდებობის, ასევე გარანტიის დროს თავდებსა და გარანტს მხოლოდ მაშინ ექნებათ მოთხოვნის უფლება თანხების ანაზღაურებაზე, როდესაც ისინი დააკმაყოფილებენ კრედიტორებს და ეს დაკმაყოფილება იქნება მართლზომიერი. თუმცაღა გარანტიის შემთხვევაში აღნიშნული შესაძლოა მხარეთა შეთანხმებით განსხვავებულად მოწესრიგდეს.

განსხვავებით საბანკო გარანტიისაგან, თავდებს უფლება აქვს მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება, რომელიც მოვალის დაველებით ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად იკისრა. ამ მოთხოვნის აღრესატი შეიძლება იყოს მოვალე, რომლის ვალდებულებასაც უზრუნველყოფს თავდები, ხოლო რაც შეეხება საფუძვლებს, ისინი შეიძლება იყოს, მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, საცხოვრებელი ან ადგილსამყოფელის შეცვლა ან სააღსრულებო დოკუმენტის არსებობა თავდების წინააღმდეგ.

თავდებობისა და საბანკო გარანტიის შეწყვეტის საფუძვლებიც სვადანსხვავა. ეს განპირობებულია გარანტიის არააქცესორული ბუნებით.

თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი შეიძლება შეწყდეს ძირითადი ვალდებულების შეწყვეტით. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა კი შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი საფუძვლებით. ასევე აღსანიშნავია სოლიდარული თავდებობის შემთხვევა, როდესაც ძირითად მოვალეს კრედიტორმა ვალი აპატია. ასეთ დროსაც მიუხედავად სოლიდარული თავდებობისა იგი მაინც თავდებობაა და მისი მისადაგება სოლიდარული მოვალეების ინსტიტუტთან დაუშვებელია. შესაბამისად ასეთ დროსაც კრედიტორი კარგავს სოლიდარული თავდების მიმართაც მოთხოვნის უფლებას და თავდებობა წყდება. ასევე თავდებობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს თავდების მხრიდან კრედიტორის დაკმაყოფილება.

გარდა ზემოაღნიშნული შეწყვეტის საფუძვლებისა თავდებობა შეიძლება შეწყდეს იმ ვადის გასვლისას, რა ვადითაც იყო დადებული თავდებობის ხელშეკრულება. სამთვიანი ვადის დაცვით შესაძლოა შეწყვეტილ იქნას უვადო თავდებობაც და ასევე ვადიანი თავდებობაც, რომლის მოქმედების ვადაც გასცდა ხუთ წელს.

რაც შეეხება საბანკო გარანტიას იგი არ წარმოადგენს აქცესორულ ვალდებულებას და შესაბამისად მისი არსებობა არაა დამოკიდებული სხვა ვალდებულებებზე. საბანკო გარანტია განსაზღვრული ვადით გაიცემა და მისი შეწყვეტაც ამ ვადას უკავშირდება. საგარანტიო ვადის გასვლისთანავე წყდება საბანკო გარანტიაც. გარდა ამისა საბანკო გარანტია წყდება გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულებით. ბენეფიციარი, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ უფლებებით არის აღჭურვილი, უფლებამოსილია თავად თქვას უარი ამ უფლებაზე. შესაბამისად საბანკო გარანტიის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი ბენეფიციარის მიერ გარანტიაზე არის უარის თქმა. აღნიშნული უარი წერილობითი ფორმით უნდა განხორციელდეს და ასევე ბენეფიციარმა გარანტს უნდა დაუბრუნოს საგარანტიო წერილი.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, ის თუ რამხელა სხვაობაა ამ ორ ინსტიტუტს შორის, მიუხედავად მათი გარეგნული მსგავსებისა.

დასკვნა

თავდებობა და საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნული საშუალებები ფართოდ გამოიყენება სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებში. აღნიშნული მათ ეფექტიანობაზე მეტყველებს.

თავდებობა და საბანკო გარანტია, მიუხედავად მათი მსგავსებისა, წარმოადგენენ განსხვავებულ ინსტიტუტებს. თუმცა მათი აღრევა ხდებოდა სასამართლოების მხრიდან. დღესდღეისობით აღნიშნული პრობლემა აღარ დგას ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

თავდებობისა და საბანკო გარანტიის განმასხვავებელი ბევრი ნიშანი გამოიკვეთა, საიდანაც არსებითია, საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნება. ასევე განსხვავებულია თავდებობისა და საბანკო გარანტიის წარმოშობს საფუძვლები. თავდებობისაგან განსხვავებით, საბანკო გარანტია გარანტის ცალმხრივი ნების საფუძველზე წარმოიშობა.

უმრუნველყოფი პირის უფლება-მოვალეობების მხრივ მეტად დაცულია თავდები. ამ უკანასკნელს გააჩნია, როგორც საკუთარი, ასევე ძირითადი მოვალის შესაგებლების წარდგენის უფლება. გარანტი ამ მხრივ საგრძნობლად ნაკლები უფლებებით სარგებლობს, რაც ბენეფიციარის ინტერესებს ემსახურება და პრინციპალს რისკის ქვეშ აყენებს.

სასამართლო პრაქტიკა თავდებობასთან მიმართებაში მეტად არის განვითარებული სწორი მიმართულებით, ვიდრე საბანკო გარანტიის შემთხვევაში. თუმცაღა თავდებობის შემთხვევაშიც არსებობს სასამართლოს არასწორი პრაქტიკა, რომელიც სოლიდარულ თავდებს ეხება. სასამართლო ამ უკანასკნელს აიგივებს სოლიდარულ მოვალესთან რაც იწვევს შემდგომ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანას და სოლიდარული თავდების უფლებების დარღვევას.

საბანკო გარანტიის შემთხვევაში, კერძოდ მის არააქცესორულ ბუნებაზე ხშირად გაკეთდა აქცენტი სასამართლოს მიერ და საკმაოდ სწორი განმარტებები მიეცა. აღნიშნული საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას გულისხმობს, როგორც ძირითადი ხელშეკრულების, ასევე საბანკო გარანტიის გაცემის ხელშეკრულების მიმართ.

საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნება ბენეფიციარის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების რისკებს ზრდის, რომლისაგან დაცვის მექანიზმსაც წარმოადგენს ზუსტი შესაბამისობის პრინციპი. ეს უკანასკნელი განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის მიერ, თუმცაღა სასამართლო პრაქტიკის მიერ არ არის აღიარებული. სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ არასწორი გზით მიდის, რაც უკანონო გადაწყვეტილებების გამოტანის საფუძველს წარმოადგენს. აუცილებელია სასამართლოს მიერ ამ პრინციპის გაზიარება. ეს პრინციპი ემსახურება, როგორც პრინციპალის, ასევე გარანტის ინტერესებს. ზუსტი შესაბამისობის პრინციპის დარღვევით სასამართლო ავალდებულებს გარანტს გასცეს საგარანტიო თანხა. აღნიშნული დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილება კი ტვირთად აწვება პრინციპალს, ვინაიდან იგია ვალდებული აუნაზღაუროს გარანტს ის თანხები, რომელიც ამ უკანასკნელმა გასცა ბენეფიციარის სასარგებლოდ.

თავდებობის შემთხვევაში, მის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდგომ მასზე გადადის მოთხოვნა მოვალის მიმართ, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. იმისათვის, რომ თავდებზე გადავიდეს რეგრესული მოთხოვნის უფლება, მისი შესრულება უნდა იყოს კანონიერი. კანონიერებისათვის გადამწყვეტია ნამდვილი მოთხოვნის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ თავდებს შესაძლოა ჰქონდეს შესაგებლის უფლება, მისი გამოყენება ამ უკანასკნელის უფლებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ახვლედიანი ზ., ვალდებულებით სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“ 1999;
2. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2012;
3. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 2003;
4. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., გამომც. „ევროპული და შედარებით სამართლის ინსტიტუტი“, 2007;
5. ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და „ზუტი შესაბამისობის“ პრინციპებთან მიმართებით, თბ., სამართლის ჟურნალი, #2, 2017;

6. რობაქიძე ი., საბანკო გარანტია, სახელმძღვანელო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014;
7. რობაქიძე ი., თავდებობა, სახელმძღვანელო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014;
8. სვანაძე ნ., თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, თბ., ჟურნალი „სამართალი“ #1-2, 2004;
9. ქურდაძე შ., თავდებობის ქონებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895 -ე მუხლის მიხედვით, თბ., ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, #3-4 (39-40), 2017;
10. ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012;
11. ჭეჭელაშვილი ზ., სახელმძღვანელო სამართალი. თბ., 2010;
12. ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 24 თებერვალი 2016;
13. ჭეჭელაშვილი ზ., ქართული ბიზნეს სამართალი, თბ., 2017;
14. შენგელია რ., თავდებობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001;
15. შენგელია რ., საბანკო გარანტია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001;
16. შენგელია რ., ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007;
17. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014;
18. ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2015;

უცხოური ლიტერატურა

19. Вебер Х., обеспечение обязательств, М., 2009;
20. Олейник О. М. Основы банковского права: Курс лекций – Москва, изд.»Юрист» 1997;
21. Перетерский И. С., перев. Гражданский кодекс (Кодекс Наполеона) 1804 года. М., 1941;
22. Розенталь И. С., Обеспечение обязательств, Римское частное право, М. 2012;
23. Флейшиц Е. А., Вербальные (Устные) контракты, Римское частное право, М. 2000;

სასამართლო პრაქტიკა

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 დეკემბრის საქმე № 3კ/815-01;
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის საქმე № ას-3კ-432-02;
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 მარტი საქმე № ას-781-996-08;
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბერი საქმე №ას-562-871-09;
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 აგვისტოს საქმე № ას-164-158-2011;
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის საქმე № ას-ას-80-77-2014;

ნორმატიული აქტები

30. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997;
31. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1996;
32. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, თბ., 2005;

33. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის ბრძანება #12, ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ, თბ., 2017;

ვებ. გვერდები

34. www.matsne.gov.ge

35. www.supremecourt.ge

36. www.gccc.ge

37. www.procurement.gov.ge